პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР
გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან
№ 191 (18433) ხუთშაბათი, 19 აგვისტო, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

დიდი გაქანება — რეზერვების ამოქმედებას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციათა კოლექტივების შემართებული შრომის ნამდვილ მასტიმულირებელ ძალად იქცა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ესოდენ მაღალმა შეფასებამ გააორკეცა მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ასობით ფაბრიკის, ქარხნის, საწარმოო გაერთიანების, შახტის, მაღაროს, სამშენებლო ტრესტის, ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივები, რომლებიც ადრე ჩამორჩებოდნენ.

ყოველივე ეს განაპირობა აგრეთვე საიუბილეო თარიღის — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის მოახლოებამ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებებმა.

პლენუმზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ წლეულს ბუნების ჭირვეულობამ, ყინვებმა, ხშირმა სეტყვამ და კოკისპირულმა წვიმებმა ჩვენს სახალხო მეურნეობას დიდი ზარალი მიაყენა როგორც სოფლად, ისე ქალაქად. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა წარმატებით შეასრულა. ეს კი ჩვენი მუშათა კლასის ვაჟკაცური, შემართებული შრომის შედეგია.

ისიც ითქვა, რომ ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთი სახეობის ნედლეულისა და მასალის რესურსების შეზღუდულობის გამო რესპუბლიკაში 246 მილიონი მანეთით შემცირდა მრეწველობის მთელი რიგი დარგების წარმოების საგეგმო მოცულობანი. იმისათვის, რომ 105 პროცენტით უზრუნველვყოთ წარმოების ზრდის ტემპი, როგორც ეს სახელმწიფო გეგმითა და სოციალისტური ვალდებულებებით არის გათვალისწინებული, საჭიროა გამოინახოს დამატებით კიდევ 200 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობანი.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ამ მოწოდებას გაგებით შეხვდნენ და დაუჭირეს მხარი საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა. გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში შემოსულ წერილებში შრომითი კოლექტივები მიუთითებენ იმ რეზერვებს, რომლებითაც ისინი აპირებენ შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების მოცულობის ზრდას. ეს წერილები შესანიშნავად მეტყველებს ჩვენი მრეწველობის პოტენციურ შესაძლებლობაზე, ცალკეულ საწარმოთა თადარიგიანობაზე.

რეზერვები უშრეტია, მათი გამოვლინების შესაძლებლობები პრაქტიკულად განუსაზღვრელია, ოღონდ ამისათვის აუცილებელია მოვალეობისადმი სახელმწიფოებრივი, პარტიული მიდგომა. უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს, მაგალითად, თბილისის „ელექტროაპარატის" საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელები, პარტიული კომიტეტი, მთელი შრომითი კოლექტივი. პლენუმის მასალების გამოქვეყნების დღესვე გაერთიანების გენერალური დირექტორის ა. ხუროძის კაბინეტში შეიკრიბნენ ამ ორგანიზაციაში შემავალ საწარმოთა დირექტორები, სხვა წამყვანი სპეციალისტები, და ბჭობის შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მიმდინარე წლის დამდეგს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების გადამეტებით კიდევ შეიძლება 2 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება, რაც შეეხება ადრინდელ წლიურ ვალდებულებას, რომლის თანახმადაც მომხმარებლისათვის სახელმწიფო დავალების გადაჭარბებით 689 ათასი მანეთის ნაწარმის მიწოდებას ვარაუდობდნენ, ელექტრიკოსებმა იგი ექვს თვეში შეასრულეს.

ცხადია, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ასეთი გადიდებული ვალდებულების მისაღებად საკმარისი იყო გენერალური დირექტორის კაბინეტში შეკრება. რა თქმა უნდა არა. აქ მოსულ ყველა საწარმოს ხელმძღვანელს თან ჰქონდა სათანადო ზუსტი გაანგარიშება. სჯა-ბაასი კი ზოგიერთ ვალდებულებასთან დაკავშირებულ ტექნიკური და საორგანიზაციო ხასიათის საკითხს შეეხო. არც ის ეგონოს ვინმეს, გაერთიანება სხვა საწარმოებთან შედარებით უპირატეს პირობებში იყოს. აქ ისევე, როგორც სხვაგან, ხშირად განიცდიან მატერიალური და შრომითი რესურსების ნაკლებობას, მრავალი რთული პრობლემების წინაშე დგანან, მაგრამ სიძნელეებს, ორგანიზებულობას, მონდომებას, თავდადებულ შრომას უპირისპირებენ. რეზერვების გამოვლინება ელექტრიკოსთა მუშაობის მთელი ციკლის უწყვეტი შემადგენელი ნაწილია: შარშანდელს აქეთ შექმნილია მუდმივმოქმედი სპეციალური კომისიები, რომლებიც რეზერვების გამოვლენაზე მუშაობენ და საუკეთესო შედეგებსაც აღწევენ.

იგივე შეიძლება ითქვას რესპუბლიკის კიდევ ერთ მოწინავე ორგანიზაციაზე — „საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოო გაერთიანებაზე. საწარმოო პროცესების სრულყოფა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუდმივი ბრძოლა, კადრების შენარჩუნებისათვის შეუნელებელი ზრუნვა — აი ფაქტორები, რომლებიც ეხმარება გაერთიანების ხელმძღვანელობას რეზერვების გამოვლენაში. სამთოელებმა წლის პირველ ნახევარში უკვე გამოუშვეს გეგმით გათვალისწინებულზე 861 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია. ახლახან მათ, მიუხედავად გაზრდილი სახელმწიფო დავალებისა, აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს წლის დამლევამდე ქვეყნის სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით 1.140 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი ბარიტი, ბენტონიტი, ანდეზიტი და სხვა მრავალი სახეობის ნაწარმი მისცენ.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს წითელ ზოლად გასდევს აზრი იმის შესახებ, რომ ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს. ეს სამოქმედო პროგრამად გაიხადეს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებმა. ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე ყაირათიანობა ყველგან და ყველაფერში უმთავრესი, ფასდაუდებელი რეზერვია. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა გადაწყვიტა, ძირითადად, სწორედ ამ გზით შეასრულოს გაზრდილი ვალდებულება.

ფეიქრები სარეზერვო ყულაბაში 1.200 ათას მანეთს „ჩაუშვებენ". რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, რომლებიც ამ ბოლო წლებში საკმაოდ ინტენსიურად ვითარდება, ზრდიან პროდუქციის გამოშვებას და აახლებენ მის ასორტიმენტს, უამრავი რეზერვი გამოავლინეს და ავლენენ. ეს საშუალებას მისცემს სამინისტროს წლის ბოლომდე დარჩენილ დროში 7 მილიონი მანეთის მრავალი სახეობის ნაწარმი და მათ შორის ფართო მოხმარების საქონელი დაამზადოს.

შესაძლებლობები თავიანთი წინანდელი ვალდებულებების გადასასინჯად რესპუბლიკის კვების მრეწველობისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებმაც გამონახეს. პირველი მათგანი 4 მილიონი მანეთის, ხოლო მეორე 1,5 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას მიაწოდებს სავაჭრო ორგანიზაციებსა და მშენებლებს. მომჭირნეობით რეზერვების გამოვლენის კიდევ ერთი მაგალითი: თბილისის „ბახტრიონის" ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა გადაწყვიტა დაზოგილი ნედლეულით ყოველდღიურად გათვალისწინებულზე 60-ით მეტი ბავშვის ქუდი და შარფის კომპლექტი დაამზადოს. მარტო ეს, ერთის შეხედვით, თითქოს არცთუ დიდი რეზერვი, დაეხმარება საწარმოს დამატებით 122 ათასი მანეთის საქონელი დაამზადოს. ყველას ვერ ჩამოთვლი: გადიდებული ვალდებულება იკისრა რესპუბლიკის მრეწველობის საწარმოთა აბსოლუტურმა უმეტესობამ.

რეზერვების ძიება და გამოვლენა მომავალშიც არც ერთ წუთს არ უნდა შევანელოთ. ამ საკითხს მტკიცე პარტიული კონტროლი უნდა დავუწესოთ. სამინისტროები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები სისტემატურად უნდა ისმენდნენ საწარმოთა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ანგარიშებს რეზერვების გამონახვის თაობაზე.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, ცალკეული სამინისტროები, უწყებები, საწარმოები და გაერთიანებები არ იყენებენ წარმოების მოცულობის ყველა შესაძლებლობას. ზოგიერთი ქარხნის, ფაბრიკის, კომბინატის, სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი გამოვლენილ რეზერვს მალავს, არ გამოაქვს დღის სინათლეზე. რატომ? ფიქრობს და ეშინია იმისა, რომ წარმოების მოცულობის დამატებითი ზრდა, ვთქვათ, 100 ათასი მანეთით, საგაისოდ საბაზო მონაცემი გახდება და გეგმას მოუმატებენ. საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ შეიძლება. არავინ არ უარყოფს თადარიგიანობას, პირიქით, პარტია ამისთვის მოგვიწოდებს, მაგრამ, თუ ეს რესპუბლიკის ინტერესებს სჭირდება, გუშინ გამოვლენილი რეზერვი დღეს უნდა გამოვიყენოთ, უნდა დავძლიოთ საქმისადმი უწყებრივი მიდგომის ჩვევა. ეს არ შეშვენის სოციალისტური საწარმოს ხელმძღვანელს, კომუნისტს.

საერთოდ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თადარიგიანობა შემდგომში გამართული მუშაობის უპირველესი საწინდარია. „საჭიროა, — თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე, — ნიადაგ ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ მომავალი წელი არსებითად განსაზღვრავს მთელი ხუთწლიანი გეგმის ბედს და საჭიროა რადაც უნდა დაგვიჯდეს უზრუნველვყოთ მისი შესრულება. 1983 წელი ჩვენთვის მეთერთმეტე ხუთწლედის გადამწყვეტი წელია".

ამისათვის, როგორც ეს უკვე ყველამ იცის, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური რესურსების რაციონალური გამოყენება. იქ, სადაც არ ზრუნავენ ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ყაირათიანი ხარჯვისათვის, არ მართავენ ამ პროცესს, საბოლოო შედეგს ვერ აღწევენ. უდიდესი რეზერვია, რა თქმა უნდა, საწარმოთა სიმძლავრეების უფრო სრული დატვირთვა. ამ მხრივ მდგომარეობა სახარბიელო არ არის. ცუდად ვითვისებთ ახალ სიმძლავრეებს. ცნობილია, რომ შარშან შემოწმებულ საწარმოთა ნახევარზე მეტმა ვერ მიაღწია საპროექტო დონეს. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში სრულად არ არის დატვირთული ასაწყობი რკინაბეტონის, არამადნეული საშენი მასალების, სახუროო ნაკეთობათა წარმოების სიმძლავრენი. კვების, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, მთელი რიგი უწყებების ზოგიერთი საწარმოო ახლა ძირითადი ნედლეულის უქონლობის შემთხვევაში სიმძლავრეების დატვირთვის მიზნით სხვა პროდუქციას უშვებს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ეპიზოდური ხასიათის მოვლენაა. ასეთი ვითარებისას საწარმოთა ხელმძღვანელებმა მეტი ინიციატივა და მოქნილობა უნდა გამოიჩინონ, ზემდგომ ორგანოებს (სამინისტროებს, უწყებებს) დაუსაბუთონ, რომ დამატებითი პროდუქციის გამოშვება ხელსაყრელია, და იბრძოლონ ამისთვის. ის ხელმძღვანელები, რომლებიც საწარმოებს გამოვლენილი რეზერვების გამოყენების საშუალებას უხშობენ, სახელმწიფოს წინაშე დანაშაულს სჩადიან.

მაშ ასე, რესპუბლიკის მრეწველობაში დაიწყო დიდი ლაშქრობა რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედებისათვის. ეს ლაშქრობა არ იქნება კამპანიური, იგი გახდება მუდმივი, არსებითად დაგვეხმარება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ვადამდე განხორციელებაში, უფრო შორეული, პერსპექტიული გეგმების შესრულებაში. რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკები გვპირდებიან, რომ მოუმატებენ შრომის ტემპს, გამოიყენებენ წარმოების ზრდის, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცების ყველა შესაძლებლობას, აუცილებლად გამოუშვებენ 200 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას, ღირსეულად შეხვდებიან სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს.

მისალოცი დეპეშა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა ხალხისა და პირადად თავიანთი სახელით გულითადად მიულოცეს ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ბაბრაკ ქარმალს და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ სულთან ალი ქეშთმანდს, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რევოლუციურ საბჭოს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და მთელ მოძმე ავღანელ ხალხს ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის აღდგენის 63-ე წლისთავი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის დადგენილების კვალდაკვალ

რეზერვების ყულაბა

დიდი შეფასება გვავალებს...

ინიციატორთა ახალი თაოსნობა

ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხანა: 200 ათასი მანეთის უმაღლესი ხარისხის ნაწარმი

ფოთი. (საქ. კორ. რ. რუხია). ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივის ინიციატივა დევიზით — „მინიმალური დანახარჯებით — პროდუქციის მაქსიმუმი!" რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ფართოდ ინერგება რესპუბლიკის სხვადასხვა სამრეწველო საწარმოში. ინიციატორებმა გადაჭარბებით შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის გამოშვების მიმდინარე წლის 7 თვის დავალებები.

მანქანათმშენებლებს წლეულს 100 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი უნდა დაემზადებინათ, მაგრამ კიდევ ერთხელ აწონდაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობები, გაითვალისწინეს წარმოების რეზერვები, გადაწყვიტეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის მოთხოვნათა პასუხად დამატებით გამოუშვან 200 ათასი მანეთის უმაღლესი ხარისხის პროდუქცია.

ამასთან საგეგმო 10 ათასის ნაცვლად აქ დაამზადებენ 15 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელს, ვალდებულებით გათვალისწინებული 45 ათასის ნაცვლად საიუბილეოდ გამოუშვებენ 100 ათასი მანეთის მთლიან პროდუქციას, ხოლო 50 ათასის ნაცვლად გაასაღებენ 80 ათასი მანეთის ნაწარმს. გარდა ამისა, მანქანათმშენებლებმა გადაწყვიტეს წლეულს დაზოგონ 2 ტონა შავი ლითონის ნაგლინი და დიდძალი ელექტროენერგია.

ინიციატორები ისწრაფვიან სამრეწველო პროდუქციის მთელ მატებას შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მიაღწიონ.

60 საიუბილეო შრომის ვახტზე

საქმემ გამოარჩინა

დარში თუ ავდარში...

ტყიბული. (საქ. კორ.). სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდ შრომითს წარმატებას აღწევს ხრესილის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიე ელეონორა ობოლაძე. იგი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში წავიდა სამუშაოდ და მხარში ამოუდგა თანასოფლელ ახალგაზრდებს. ე. ობოლაძემ შარშან 0,2 ჰექტარზე 3.183 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და დავალება 155 პროცენტით გაანაღდა. წელს გამრჯე ქალიშვილის პირობაა 2.300 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთლის ნაცვლად მოკრიფოს 3.000 კილოგრამზე გაცილებით მეტი მაღალხარისხოვანი ფოთოლი.

დარში თუ ავდარში, ადრე დილიდან დაღამებამდე ე. ობოლაძეს საკრეფი კალათით ნახავთ მის მიერ სათუთად მოვლილ ჩაის ბუჩქებთან. იგი ლორთქო დუყებს თავის დროზე კრეფს. ყოველდღე იმას ცდილობს, რომ საქმით უპასუხოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის დადგენილებას. წელს მას უკვე 2.900 კილოგრამზე მეტი ფოთოლი აქვს მოკრეფილი.

შრომაში საამაყო გოგონა საზოგადოებრივ საქმიანობაშიც მისაბაძია. იგი კომკავშირული პროჟექტორის წევრია. მან ენერგიულად დაუჭირა მხარი ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას მოწოდებას — „აღვუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება". ახალგაზრდა მეჩაიემ მიზნად დაისახა არა მარტო აამაღლოს მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხი, არამედ კოლმეურნეობის მეჩაიეთა დამზადებულ ნედლეულში შარშანდელთან შედარებით ხუთი პროცენტით მეტი იყოს პირველი ხარისხის ხვედრითი წონა. ამიტომ ელეონორა ობოლაძე თანამოსაქმეთა ნამუშევარსაც აკონტროლებს.

სურათზე: ელეონორა ობოლაძე.

ს. სოფრომაძის ფოტო.

ჩაის ფოთლის კრეფის ქრონიკა

სამრეწველო გაერთიანების „საქართველოს ჩაის" ოპერატიული მონაცემებით, 18 აგვისტოსათვის რესპუბლიკაში მოკრიფეს და გადასამუშავებლად ჩააბარეს 355.144 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შარშან ამავე დროისათვის მოკრეფილი იყო 389.364 ტონა [illegible]ული. ამრიგად, განსხვავება 34.280 ტონას შეადგენს.

17 აგვისტოს მიმღებ პუნქტებში მოიტანეს 3.906 ტონა ჩაის ფოთოლი. შარშან ამავე დროისათვის ჩაის პლანტაციების მშრომელებმა მოკრიფეს 3.306 ტონა. (საქინფორმი).

ტრადიცია გრძელდება

ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციის „კავკასელექტროქსელმშენის" ტრესტის კოლექტივის გამარჯვება. მეათე ხუთწლედში და მიმდინარე ხუთწლედის დასაწყისიდან ელექტროქსელის მშენებლები — ურთულესი პროფესიის ადამიანები ყოველთვის გვახარებენ თავიანთი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, გმირული შრომით. მათ მიერ გაყვანილი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა, როგორც წესი, დროულად, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უმაღლეს დონეზე, საიმედოდ სრულდება. გაზეთ „კომუნისტის" მკითხველს არ გამორჩებოდა მხედველობიდან ქსელმშენებელთა შემართული შრომის შედეგები.

გუშინ რედაქციამ კიდევ ერთი სასიამოვნო დეპეშა მიიღო: სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგებით „კავკასელექტროქსელმშენის" კოლექტივი ზედიზედ მეთორმეტედ დაჯილდოვდა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშით.

გულითადად ვულოცავთ ელექტროქსელმშენის კოლექტივს მორიგ გამარჯვებას, ვუსურვებთ მას ახალ წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში.

(„კომუნისტის" კორ.).

შევინარჩუნოთ მთელი ჭირნახული!

მხარს უჭერენ

სარატოველთა თაოსნობას

შეუფერხებლად

გულრიფშის რაიონის ყველა სოფლის დეპუტატთა ჯგუფებმა და საგუშაგოებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი რაიონული საბჭოს დეპუტატების — რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიის ნანი გოგიასა და კოლმეურნეობა „ესტონელის" მეჩაიის ლინდა ტელმანის ინიციატივას. მათ პლანტაციებში გააჩაღეს შეჯიბრება დღის განმავლობაში მოკრეფილი ხარისხოვანი ფოთლის ჩაის ფაბრიკაში დროული გაგზავნის უზრუნველსაყოფად. ახლა ისინი ისწრაფვიან გააუმჯობესონ ფოთლის ხარისხი და სეზონის დამლევამდე სახელმწიფოს ჩააბარონ 2.900 ტონა ჩაი — ვალდებულებით გათვალისწინებულზე 300 ტონით მეტი.

ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში დევიზით „შევინარჩუნოთ მთელი ჭირნახული!", სასოფლო საბჭოების დეპუტატებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს არა მარტო ჩაის პლანტაციები, არამედ აგრეთვე ბაღ-ბოსტნები, სიმინდის ყანები — საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის წარმოების ყველა უბანი, სადაც შეიძლება მოსავლის დანაკარგები იყოს.

ვალდებულებით ნაკისრი აქვთ დაამზადონ 2.200 ტონა ბოსტნეული, მეურნეობებმა კი უკვე დაამზადეს დაახლოებით 1500 ტონა; სახელმწიფოს მიჰყიდეს 520 ტონა კურკოვანი ხილი — გეგმაზე 222 ტონით მეტი.

მოსავლისათვის ზრუნვით

გორის რაიონის მოსავლის აღების კონვეიერის ყველა უმნიშვნელოვანეს უბანზე შეიქმნა დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები, რომელთა შემადგენლობაში არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი. ისინი საქმით უპასუხებენ სარატოველ სახალხო დეპუტატთა მიმართვას, და ვალდებულება იკისრეს უზრუნველყონ ხუთწლედის მეორე წლის მოსავლის სრული დაცვა-შენახვა და დროული გადამუშავება. დევიზი „შევინარჩუნოთ მთელი ჭირნახული"! განსაზღვრავს დღეს მეხილეთა სადაგო დღეების შინაარსს. მათ წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 120 ათასი ტონა ხილი.

სპეციალისტთა წინასწარი გაანგარიშებით, ამ მოსავლის მესამედზე მეტი საკარმიდამო ნაკვეთებიდან შემოვა. ატენისა და ხიდისთავის სასოფლო საბჭოების დეპუტატებმა მოსახლეობას მოუწოდეს დაეხმარონ რაიონს პირნათლად შეასრულოს დავალება და ნაკისრი ვალდებულებანი. დეპუტატები სახალხო კონტროლიორებთან, „კომკავშირული პროჟექტორის" აქტივისტებთან ერთად უზრუნველყოფენ დამამზადებელი, სატრანსპორტო და სავაჭრო ორგანიზაციების შეუფერხებელ მუშაობას.

დანაკარგები მინიმუმამდე შემცირდა

სამრეწველო გაერთიანების „საქართველოს ჩაის" მუშაკები წარმატებებს აღწევენ ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების დროს დანაკარგების მაქსიმალური შემცირების საქმეში. პასუხად სარატოველთა ინიციატივისა „მთლიანად შევინარჩუნოთ ჭირნახული!", გაერთიანების კოლექტივმა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა ჩაის ფოთლის მოსავლის უდანაკარგოდ აღების, დამზადებისა და გადამუშავების, ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, ქართული ჩაის პრესტიჟის აღდგენის ღონისძიებათა კომპლექსი. მაგალითად, ახლა ლანჩხუთისა და გალის რაიონებში ჩაის ფოთლის კრეფის დროს პირველად ცდიან მართვის ავტომატიზებულ სისტემას, რომელიც კარგ შედეგებს იძლევა.

მიმდინარე წლის სეზონში უაღრესად არახელსაყრელი ამინდის პირობების მიუხედავად, რის შედეგადაც დაგვიანდა მეორე ვეგეტაცია, რამაც განაპირობა საიუბილეო წლის გეგმა-ვალდებულების შესრულების საქმეში სერიოზული სიძნელეები, ჩაის ნედლეულის დანაკარგები მინიმუმამდე შემცირდა. ჩაის ფოთლის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი საშუალება გახდა კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან ჩაის ფაბრიკებში ნედლეულის მიწოდების გრაფიკების ზუსტი დაცვა. დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი ბერკეტია ფაბრიკებში ნედლეულის უტაროო გადაზიდვისა და ჩაბარების მეთოდის ფართო დანერგვაც, რომელიც არა მარტო ეკონომიურია, არამედ ხელს უწყობს მწვანე ფოთლის უკეთ შენახვასაც. ამ მეთოდით დღეისათვის გადაიზიდა და ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა მთელი მოსავლის მესამედი. (საქინფორმი).

მოსავალი უკლებლივ დავაბინავოთ, მოვიმარაგოთ საკვები

სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

წელს ამინდი არ ანებივრებს მინდვრის მშრომელებს. მთელი რიგი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში მეტად მძიმე პირობებია შექმნილი. ეს განსაკუთრებით საკვებმოპოვებას ეხება, რომელიც ამ ეტაპზე სოფლად მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანია, საკმარისია დავასახელოთ ერთი ფაქტი — სადღეისოდ რესპუბლიკაში უხეში საკვები დამზადებულია 796 ათასი ტონა, შარშან შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის 200 ათასი ტონით ნაკლები. ბოლო 3-4 წელიწადში საკვებდამზადებაში რესპუბლიკას ასეთი სერიოზული ჩამორჩენა არ ჰქონია. თანაც, თუ გავაანალიზებთ მონაცემებს ცალკეული რეგიონებისა და რაიონების მიხედვით, ჩანს, ჩამორჩენის მიზეზი მარტო ამინდი არ უნდა იყოს, ეს არაერთხელ დაადასტურა აგრეთვე მაკონტროლებელი ორგანოების შემოწმებებმა. ავიღოთ კახეთის ზონა. აქ სიღნაღის რაიონის საკვებმომპოვებლები შარშანდელი დონის გასწრებით მუშაობენ, ლაგოდეხში კი შარშანდელის მხოლოდ 75 პროცენტია დამზადებული, ახმეტაში — 81, წითელწყაროში — 89, თელავში — 85 პროცენტი. ახალქალაქელები მიუახლოვდნენ შარშანდელ მაჩვენებლებს, ხოლო ბოგდანოვკის რაიონში ეს დანაკლისი 9 ათას ტონაზე მეტია, ლენტეხის რაიონმა შარშანდელ დონეს გაუსწრო, ცაგერში კი გეგმის 8 პროცენტი, შარშანდელის 23 პროცენტია დამზადებული. ასევეა ამბროლაურის რაიონში. იგივე სურათს ვხედავთ იმერეთ-სამეგრელოს რეგიონებში.

სენაჟის დამზადების გეგმის შესრულება ბევრმა თავის კარგ მუშაობას მიაწერა, ფაქტობრივად კი ეს მოხდა შარშანდელთან შედარებით გეგმის შემცირების ხარჯზე, ხოლო ამ რაიონებში სხვა სახეობის საკვების (წვნიანი, ბალახის ფქვილი) დამზადებაში რაიმე სერიოზული ძვრა არ იგრძნობა.

მოსავლის აღება. რესპუბლიკაში 13 აგვისტოსათვის საგეგმო 162.481 ჰექტარის ნაცვლად ჭირნახული აღებულია 106.048 ჰექტარზე. თავიდან კარგი ტემპით მუშაობდნენ, მაგრამ ბოლო დღეებში ტემპი შენელდა და მოსავლის აღების შარშანდელ დონეს თითქმის 2.500 ჰექტარით ჩამორჩით. მოსავლის აღება განსაკუთრებით დასაჩქარებელია სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც 4.461 ჰექტრიდან აღებულია 2.310 ჰექტარი. ხაშურის რაიონში — 3.911 ჰექტრიდან 2.616, ქარელში — 5.091-დან 2.764, გორში — 5.538 ჰექტრიდან 3.353 ჰექტარი. მოსავლის აღება ამ დღეებში მესხეთ-ჯავახეთშიც გაჩაღდა, აქაური მხვნელ-მთესველები, იმედია, ყოველმხრივ მზად არიან. საკმაოდ კარგი მოსავალი მოიწიეს წითელწყაროს, გურჯაანის, გორის, მარნეულის რაიონების მხვნელ-მთესველებმა, სადაც საშუალოდ ჰექტარზე 25-26 ცენტნერი მარცვალია გალეწილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ქარელის, კასპის, სიღნაღის, ახმეტის, ყვარლის და მცხეთის რაიონებზე, სადაც საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ მხოლოდ 16-17 ცენტნერი შეადგინა. აქვე უნდა ვთქვათ სანაწვერალო თესვის შესახებ. ჯერჯერობით რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დასათესია 6.000 ჰექტარზე მეტი. თუ ეს ფართობი უმოკლეს ვადებში არ დაითესა, მეორე მოსავლის მიღებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

წელს რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამარცვლე **ლობიოს** მოვლა-მოყვანის საკითხს. შეიძლება ითქვას, რომ ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად რესპუბლიკის უმეტეს რაიონებში ორგანიზებულად და აგროტექნიკურ ვადებში მოეწყო ლობიოს თესვა-მოვლის კამპანია, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ საქმეს წითელწყაროს, აბაშის, ლაგოდეხის, გორის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, საჩხერის და მთელი რიგი სხვა რაიონების მშრომელები.

ბევრგან ამთავრებენ ლობიოს აღებას. ახლა მეურნეობათა ხელმძღვანელების ვალია ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება თითოეულ ბრიგადას, რგოლსა და ცალკეულ მუშაკებს შორის, გადაჭრით ებრძოლონ დანაკარგებს და ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ უთუოდ შესრულდეს ლობიოს დამზადების გეგმა.

აბრეშუმის პარკი. გეგმით გათვალისწინებული 18.500 ცენტნერიდან დამზადებულია 17.300 ცენტნერი, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ წელს განსაკუთრებით კარგად იმუშავეს გურჯაანის, სამტრედიის, ვანის, წულუკიძის, თერჯოლის, ცაგერის, აბაშის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მახარაძის და მთელი რიგი სხვა რაიონების მშრომელებმა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ქარელის, ხაშურის, საგარეჯოს, ყვარლის მცხეთის, თეთრი წყაროს, ორჯონიკიძის, ამბროლაურის მეაბრეშუმეებზე, რომლებმაც გეგმის შესრულებას დიდძალი პარკი დააკლეს.

სოფლად ახლა უმთავრესი საკითხია **მცენარეთა დაცვა** მავნებელ დაავადებებისაგან. სწორედ მცენარეთა დაცვის საშუალებებმა იხსნა დასეტყვილი ვენახები მთლიანი განადგურებისაგან. ბევრგან, სადაც ვაზს სანიმუშოდ მოუარეს, მართალია ცოტას, მაგრამ მოსავალს მაინც მოელიან. დასეტყვილი ვენახების მკურნალობა გრძელდება თელავის, წითელწყაროს, ახმეტის და მცხეთის რაიონებში. აქ დაავადებათა კერები ჩაქრალია, მაგრამ პროგნოზით აგვისტოში ისევ მოსალოდნელია მთელ რიგ მავნებელ-დაავადებათა გამოჩენა, რისთვისაც ადგილზე სპეციალისტები ფხიზლად უნდა იყვნენ. ქართლის და სამხრეთ ოსეთის ხეხილის ბაღებში ბევრია სხვადასხვა დაავადების კერა (მზომელა, ტკიპა და სხვა), რომლებიც საბოლოოდ უნდა აღიკვეთოს.

ფიტოფტორით სერიოზული დაავადების კერები გაჩნდა სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის, წყალტუბოს რაიონის მუხიანის, მაღლაკის, ფარცხანაყანევის მეურნეობების პამიდვრის ნარგავ-ნათესებში.

შარშან დასავლეთ საქართველოს მესიმინდეობის რაიონებს ზიანი მიაყენა მდელოს ხვატარმა. წელსაც, მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გამოჩნდა იგი ლანჩხუთის, ცხაკაიას და ზუგდიდის რაიონებში. კერები ამჟამად ჩაქრალია, მაგრამ ამან არ უნდა დაგვამშვიდოს. ადგილობრივმა სპეციალისტებმა ყოველდღიურად უნდა შეამოწმონ ფართობები, რათა საშიშროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ მცენარეთა დაცვის სამსახურებს.

სოფლად ახლა უამრავი საქმეა. მხოლოდ მაღალორგანიზებული შრომის, ტექნიკისა და მუშახელის მაქსიმალური გამოყენებით არის შესაძლებელი ყველა სახის სასოფლო სამუშაოების დროზე და აგროტექნიკურ ვადებში დამთავრება.

პარტიული ცხოვრება

მოქმედების ახალი პროგრამით

საოლქო კომიტეტების პლენუმებზე

სოხუმი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გადაწყვიტეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 13,4 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეები სახელმწიფოს მიჰყიდიან 100 ათას ტონა ხარისხოვან მწვანე ფოთოლს, რაც 12 ათასი ტონით აღემატება წლიურ გეგმას. ამასთან ერთად სოფლის მშრომელები აგროსამრეწველო კომპლექსების კოლექტივებთან ერთად დამატებით აწარმოებენ 10 მილიონი მანეთის პროდუქციას.

ყოველივე ეს ითქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის VIII პლენუმზე, რომელმაც განიხილა საკითხი —„აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის".

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა.

მომხსენებელმა და ორატორებმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის დადგენილებისა და აქედან გამომდინარე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებათა მოთხოვნები მოქმედების საბრძოლო პროგრამად გაიხადა თითოეულმა პარტიულმა კომიტეტმა, თითოეულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ავტონომიური რესპუბლიკის ყოველმა კომუნისტმა უახლოესი პერიოდისა და შემდგომი პერსპექტივისათვის.

პლენუმის მონაწილეებმა ღრმად გააანალიზეს საქმის მდგომარეობა მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში. მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკეს ზოგიერთი უწყება, გაერთიანება, საწარმო, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომელთა საქმიანობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა მოთხოვნებს.

მხოლოდ ადგილებზე მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობასა და სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში არსებული სერიოზული ხარვეზებით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, — აღნიშნავდნენ ორატორები, — რომ აქა-იქ თავს იჩენს საგეგმო მაჩვენებლების კორექტირების მავნე პრაქტიკა, აგრეთვე ისიც, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში მთლიანად შემცირდა თითოეული ძროხის საშუალო წველადობა.

პლენუმმა განიხილა ინფორმაცია — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს საქმიანობა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის III პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში.

პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილებანი. **„კომუნისტის" კორ.**

ბათუმი

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

მომხსენებელმა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასების ინიციატივისა და აქტიურობის განვითარების, პარტიული და სამეურნეო დისციპლინის განმტკიცების, საქმიანობის ყველა სფეროზე პარტიული გავლენის გაძლიერების კურსმა საშუალება მოგვცა გარკვეული წარმატებები მოგვეპოვებინა გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში. ათი წლის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა დავალებით გათვალისწინებული 50,8 პროცენტის ნაცვლად 74,1 პროცენტით გაიზარდა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 72,6 პროცენტით, ხოლო კაპიტალდაბანდებათა ათვისება 2-ჯერ გადიდდა.

დღეს ავტონომიურ რესპუბლიკაში გამოშვებულ ყოველ მეოთხე ნაწარმს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი ამშვენებს. აჭარის მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, რძის, კვერცხის დამზადების შვიდი თვის დავალებანი.

წლევანდელმა ამინდის არახელსაყრელმა პირობებმა ბევრი სიძნელე შეუქმნა სოფლის მშრომელებს, განსაკუთრებით მეჩაიეებს. პირველი ვეგეტაციის პერიოდში ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა მხოლოდ 38,6 პროცენტით შესრულდა. ჩაის ნედლეულის დამზადებაში წარმოქმნილი ჩამორჩენის ლიკვიდაციას ახმარენ მეცადინეობას მწვანე პლანტაციების მშრომელები, რომლებიც მუშაობენ დევიზით „ვკრიფოთ ჩაი ყოველგვარ ამინდში!".

ამასთან პლენუმზე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში. ყველა მათგანმა როდი გაართვა თავი საგეგმო დავალებებს, რამაც მთელ რიგ საწარმოებში გამოიწვია გეგმების კორექტირება მათი შემცირების მიზნით, წარმოების ზრდის ტემპის შენელება. ამიტომ პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მისაღწევად რეზერვების ძიებისა და გამოყენების სისტემის ორგანიზაციას.

ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გადაწყვიტეს იუბილესათვის მანამდე ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით გამოუშვან 20 მილიონი მანეთის პროდუქცია. სოფლის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს დამატებით აწარმოონ 602 ათასი მანეთის პროდუქცია, მათ შორის 500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 700 ტონა ციტრუსები.

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომლის მიზანია გადიდებულ ვალდებულებათა უთუო შესრულების უზრუნველყოფა, სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრა. (საქინფორმი).

ცხინვალი

სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის დადგენილება აღიქვეს როგორც იმ მუშაობის მაღალი და პირუთვნელი შეფასება, რომელსაც საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს ბოლო ათი წლის მანძილზე ეკონომიკური თუ სოციალური განვითარებისათვის.

— ამ დადგენილებამ, — ითქვა ამ დღეებში გამართულ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, — კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი დღენიადაგ ზრუნავენ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის, საერთოდ საქართველოს, მისი ეკონომიკური, კულტურული პოტენციალის შემდგომი განმტკიცებისათვის.

პლენუმზე, რომელმაც განიხილა „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის შედეგები და სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. ოდიშვილმა.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ამ ბოლო წლებში ოლქის ეკონომიკა გეგმაზომიერად, დინამიკურად ვითარდება. მაგალითისათვის ასეთი ციფრები მოიყვანეს: სასაქონლო პროდუქციის წარმოება ბოლო 10 წლის მანძილზე ოლქში ორჯერ და მეტად გაიზარდა, ხოლო სოფლის მეურნეობის საშუალო წლიური წარმოება — 1,8-ჯერ. მშენებლობაში ამ პერიოდში იმაზე ორჯერ მეტი კაპიტალდაბანდებანი აითვისეს, ვიდრე წინა ოცი წლის მანძილზე, გაიზარდა საერთო მაჩვენებლები ოლქის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც.

სასურსათო პროგრამის შესრულებას წარმატებით ართმევენ თავს სოფლის მშრომელები. მათ ამინდის ჭირვეულობას ორგანიზებული შრომა დაუპირისპირეს. ისინი კარგად იყენებენ დარიან ამინდებს და შრომობენ დევიზით „მთელი ჭირნახული შევინარჩუნოთ".

პლენუმზე დადებითს მომენტებთან ერთად აღინიშნა ისიც, რომ სამხრეთ ოსეთის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში ჯერ კიდევ მრავლად არის გამოუყენებელი რეზერვები, რომელთა ამოქმედება კიდევ უფრო გააუმჯობესებდა საერთო მაჩვენებლებს. რეზერვებად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც პლენუმზე ითქვა, უპირველესად თითოეულ მშრომელში მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება, აგრეთვე ერთხელ დადგენილი გეგმების კორექტირების მავნე პრაქტიკის აღკვეთა, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის დაცვა და სხვ.

პლენუმზე დაამტკიცეს ავტონომიური ოლქის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა.

გ. გვიშიანი.

---

532 ათასი ტონა ჩაისათვის

ხარვეზები არ უნდა განმეორდეს

ბალის რაიონში ჩაის ფოთლის საკრეფად ამინდი თითქოს ხელსაყრელია, მაგრამ დუყების ზრდა ფერხდება. ამიტომ მნიშვნელოვანია თითოეული შემოსული ფოთლის შეუფერხებელი კრეფა. მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში დიდი და პატარაა ჩაბმული.

— ჩვენი რაიონის მეჩაიეებმა, რომლებიც პარტიის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის აქტიურად იბრძვიან, — გვითხრა პარტიის გალის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. შარანგიამ, — ერთსულოვნად გადაწყვიტეს წლეულს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 49 ათას 460 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ ვალდებულებისათვის ბრძოლაში მეჩაიეების დასარაზმავად დიდი როლი შეასრულა ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას პატრიოტულმა თაოსნობამ. თაოსნობის პასუხია ის, რომ რაიონში მოკრეფილი ფოთლის 76,3 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

იქ, სადაც ბუნების ჭირვეულობას მეჩაიეებმა თავიანთი ოსტატობა და გამოცდილება, მტკიცე ნებისყოფა და დარაზმულობა დაუპირისპირეს, ფოთოლი ინტენსიურად იკრიფება და შეუფერხებლად ბარდება მრეწველობას. ესეც კია, მეორე ვეგეტაციის შეყოვნებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა კრეფის ტემპზე. 18 აგვისტოსათვის მოკრეფილია 32.563 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც შარშანდელზე 2.975 ტონით ნაკლებია; მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება.

უდანაკარგოდ იღებენ მოსავალს სოფელ თაგილონის XXV პარტყრილობის სახელობის (თავმჯდომარე — რ. გეგიძე, პარტკომის მდივანი — ვ. ესართია) კოლმეურნეობაში. აქ მოკრეფილია 1.114 ტონა ფოთოლი. ჩაბარებული ნედლეულის 81 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ჩაის ხარისხისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი მექანიზატორმა ი. მარშავამ.

საბჭოთა კავშირის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მზიურის, სიდის, ჭუბურხინჯის საბჭოთა მეურნეობების, აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის, ოქუმის, ღუმურიშის კოლმეურნეობების მეჩაიეები.

ჩაის პლანტაციებში მოსავლის აღება საშურია, მაგრამ მისი უდანაკარგოდ და დროულად გადამუშავება ნაკლები მნიშვნელობის საქმე როდია. ორგანიზებულად, სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებით მუშაობენ ამ დღეებში და თავიანთი ზონის მეურნეობებს კარგად ემსახურებიან ნაბაკევის, ზემო ბარღების, ოქუმის, აჩიგვარის, გალის პირველი და მეორე ფაბრიკების კოლექტივები.

— მოსავლის აღების მართვის ავტომატური სისტემის შტაბთან მჭიდრო კავშირმა, — გვითხრა გალის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ვ. ეზუგბაიამ, — განაპირობა მიმდინარე სეზონში ნედლეულის დროულად მიღება და გადამუშავება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფაბრიკისათვის ნედლეულის მიწოდების შემუშავებული გრაფიკის მტკიცედ დაცვას. ამიტომაც კონვეიერი — „პლანტაცია — ტრანსპორტი — ფაბრიკა". შეუფერხებლად მოქმედებს. რაიონის ფაბრიკების მიერ წლევანდელი მოსავლის ნედლეულისაგან დამზადებული დიდძალი პროდუქცია, შავი და მწვანე ბაიხაო ჩაი ყოველდღიურად იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში.

რაიონის ჩაის პლანტაციებში მოსავლის აღების ტემპი დღითი დღე ძალას იკრებს, მაგრამ ეს ყველა მეურნეობასა და ფაბრიკაზე არ ითქმის. ზემო ბარღების ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში, რომლებიც აქაური ჩაის ფაბრიკის გასწვრივ არის გადაშლილი, მეჩაიეები არსად ჩანდნენ, არც ჩაის საკრეფი მანქანები მუშაობდნენ, ეს მაშინ, როდესაც აქ კარგა ხანია მეორე ვეგეტაცია დაიწყო და ფოთოლი გადაუხეშებულა კიდეც. სამწუხაროდ, ზემობარღებელებმა ვერ შეასრულეს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის დამზადების ორი თვის დავალება, შარშანდელ შესაბამის პერიოდს 72 ტონით ჩამორჩნენ. მეურნეობის 21 საწარმოო ბრიგადიდან დავალება მხოლოდ სამმა ბრიგადამ შეასრულა. ჩამორჩენილთა შორის აღმოჩნდა № 5 აგროგანყოფილება, რომელსაც მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი გ. მირცხულავა ხელმძღვანელობს (?!).

რამ განაპირობა ასეთი არადამაკმაყოფილებელი შედეგი? ამის თაობაზე მეურნეობის მთავარმა აგრონომმა გ. ტურავამ გულახდილად გვითხრა: საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელთა უმრავლესობამ სეზონის დამდეგს ვერ უზრუნველყო ბრიგადების დაკომპლექტება საკმარისი რაოდენობის მუშახელით, სათანადოდ ვერ დაკომპლექტდა კომპლექსური რგოლები კვალიფიციური მექანიზატორებით, ამას დაემატა სეზონის პირველი დღეებიდანვე შრომის დისციპლინის დარღვევები. ამჟამად ვახორციელებთ ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

არის ასეთი შემთხვევებიც, თუ ზემო ბარღების პლანტაციებში ნედლეული უხეშდება და იკარგება, საბერიოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ნ. ტორუა) მოკრეფილი ფოთოლი აქაურ პერიფერიულ მიმღებ პუნქტში ფუჭდება. ორი დღის განმავლობაში აქედან ჭუბურხინჯის ჩაის ფაბრიკას მოკრეფილი ნედლეული არ გაეტანა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ უხეშად დაირღვა საბერიოდან ჩაის ნედლეულის გატანის გრაფიკი. ამასთან ჭუბურხინჯის ფაბრიკაში დანადგარები მოულოდნელად გაფუჭდა.

სამწუხაროდ, ამ საგანგებო მდგომარეობის შესახებ არც კოლმეურნეობის, არც ჩაის ფაბრიკის მესვეურებმა დროულად არ აცნობეს მოსავლის აღების მართვის ავტომატური სისტემის შტაბს, რომელსაც შეეძლო საბერიოელთა ნედლეულის სხვა ფაბრიკებისათვის განაწილება, როგორც ეს პარტიის გალის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის გ. ძანძავას და გალის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინრის გ. აბლოთიას საქმეში ჩარევის შემდეგ მოხდა. მათ ადგილზე ოპერატიულად შეიმუშავეს ფაბრიკაში მოულოდნელად შექმნილი პიკის ლიკვიდაციის სქემა და ჩაის ფოთლით დატვირთულმა ავტომანქანებმა რაიონის სხვადასხვა ფაბრიკას მიაშურეს!

მხოლოდ უპასუხისმგებლობით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ გალის რაიონში დიდძალი ნედლეული იკარგება მოსავლის აღების დაგვიანების გამო. აქ ჯერ კიდევ შეუწყნარებლად ჩამორჩებიან მექანიზებული წესით ფოთლის კრეფის დავალებათა შესრულებაში. რაიონში მობილური მანქანებით წლეულს საგეგმო 5.200 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 1.762 ტონა ფოთოლი, ხოლო მცირე მექანიზაციის საშუალებით — 2.450 ტონის ნაცვლად 628 ტონა. ბევრგან სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მობილური მანქანების და ხელის საკრეფი აპარატების ეფექტიან გამოყენებას. მეჩაიეებს ჯერ კიდევ არ ჰყოფნით საკრეფი აპარატები, მოუგვარებელია სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფის და რემონტის საქმე. ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების ელექტრიფიცირება, სამწუხაროდ, ამ სამუშაოების დავალება რაიონში ჯერ-ჯერობით სანახევროდაც არ შესრულებულა.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" პრობლემები

ეკონომიკური პროგნოზირება დაგვეხმარება

● საბადო ღარიბდება, მანგანუმზე მოთხოვნილება იზრდება ● უნდა დამთავრდეს ლავების მთლიანი მექანიზაცია ● საჭიროა მცირეგაბარიტიანი პნევმატური სატვირთავი მანქანები, საბურღი ურიკები, მიწისქვეშა ტრანსპორტის საკონტაქტო ელმავლები ● დღის წესრიგშია გადახსნითი სამუშაოების პროგრესული მეთოდის დანერგვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ მძლავრ იმპულსად აღიქვა ლენინის ორდენოსანი საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" მრავალათასიანმა კოლექტივმა.

მაღალ შეფასებას სამთოელები პრაქტიკული საქმეებით პასუხობენ. სტიქიისა და სხვადასხვა ობიექტური ხელშემშლელი მიზეზების მიუხედავად, მაღაროელებმა წლის პირველი ნახევრის დავალების გადამეტებით 27.000 ტონა მანგანუმის სასაქონლო კონცენტრატი დაამზადეს. საუკეთესოდ მოაწყეს შრომის ორგანიზაცია და გაზარდეს სამთო მექანიზმების დატვირთვის კოეფიციენტი სტალინის, დიმიტროვისა და ახალი ითხვისის ზ. ა. პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოებმა. ყველა სამთო საწარმოს რომ მათნაირად ემუშავა, წარმატება უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდი მოხდა.

ბოლო ხანებში პოზიციები დათმო ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა. რატომ? უპირველესად, საწარმოში სწორად ვერ მართავენ შრომისა და საწარმოო დისციპლინას, ეფექტიანად ვერ იყენებენ ძირითად ფონდებს. წლის პირველ ნახევარში ექსკავატორები მოაცდინეს 4046 საათით, ბულდოზერები — 2338 საათით, ამოიღეს 3.878 ტონა წუნდებული მადანი და, ცხადია, ვერ უზრუნველყვეს დავალების შესრულება.

წლეულს ჩვეული შემართებით ვერც ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველო მუშაობს. მართალია, ლენინელებს თავის მართლების ობიექტური მიზეზებიც აქვთ, მაგრამ ზოგი რამ თვით სამეურნეო ხელმძღვანელობაზეც არის დამოკიდებული და გამოსწორების დაყოვნება არ შეიძლება.

აი რა განაცხადა თქვენს კორესპონდენტთან საუბარში საწარმოო გაერთიანების დირექტორმა მ. აფაქიძემ:

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამართულ პლენუმზე ხაზგასმით ითქვა, რომ ეკონომიკის მართვაში ყოველთვის როდი ვიყენებთ პროგნოზირების სისტემას, არადა, უამისოდ ეკონომიკური პროცესის მეცნიერული მართვა შეუძლებელია. ეს სატკივარი ჩვენც გვჭირს და მოუთმენელია, რამდენადაც მანგანუმის მადნის საბადოები ღარიბდება. უფრო მეტიც. მთელი რიგი მიწისქვეშა საწარმოო უბნები მეორედ დამუშავებულ ველებშიც კი განშტოებულია. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, მხოლოდ ზუსტ გაანგარიშებას უნდა დაეყრდნო.

დღეს საკითხი ასე დგას: უფრო უკეთ დავტვირთოთ არსებული საწარმოო სიმძლავრენი. ამასთან დღენიადაგ უნდა ვიზრუნოთ ამ სიმძლავრეთა განუხრელი გადიდებისა და გაფართოებისათვის.

პლენუმის მიერ დასახული ამოცანის გადაწყვეტა, მართალია, დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ იგი სავსებით რეალურია. ამასთან საჭიროა ზოგიერთი პრობლემატური საკითხის მოგვარება. ჯერ ერთი, მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისთვის არათუ არ უნდა შემცირდეს, არამედ გარკვეულწილად უნდა გაიზარდოს კიდეც მანგანუმის მადნის მოპოვება.

ეს პრობლემა რომ დადებითად გადაიჭრას, ხუთწლედის ბოლო წლისათვის, მაშინ ლენინის და ახალი ითხვისის ზ. ა. პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოების ლავებში უნდა დამთავრდეს სამუშაო ციკლის მთლიანი მექანიზაცია. წმენდითი კომპლექსების დანერგვით ყოველწლიურად დაიზოგება 22.500 კუბური მეტრი დეფიციტური ხე-ტყის სამაგრი მასალა. ერთი მუშის შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 23 პროცენტით, ხოლო მადნის საექსპლოატაციო დანაკარგი 4-5 პროცენტით შემცირდება.

უახლოესი წლების გადაუდებელი ამოცანაა ადრე დამუშავებულ ველებში მანგანუმის მადნის ხელით დატვირთვა მთლიანად შეიცვალოს მცირეგაბარიტიანი პნევმატური სატვირთავი მანქანებით, იმ ვარაუდით, რომ მექანიზებულმა დატვირთვამ წლიურად სულ ცოტა 500 ათას ტონას მიაღწიოს. ეს ღონისძიება მთლიანად უნდა განხორციელდეს სტალინის, კალინინის და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებში, ხოლო ნაწილობრივ ლენინის სახელობის მაღაროში, სადაც ორი მიწისქვეშა საწარმოო უბანი ადრე დამუშავებულ ველშია.

მაღაროთსამმართველოებში ყოველწლიურად გაჰყავთ ათასობით მეტრი დაჭრითი და მოსამზადებელი გვირაბები, რომელთა შორის მარტო მოსამზადებელი გვირაბი 3 ათას გრძივ მეტრს შეადგენს. აუცილებლობა მოითხოვს მათი ხელახალი გამაგრება მოხდეს მუდმივი პროგრესული სამაგრით. ეს მასიურ რკინა-ბეტონის სამაგრთან შედარებით გაცილებით იაფია, თანაც არ მოითხოვს დიდ შრომით დანახარჯებს, კაპიტალურ შეკეთებას, დაიზოგება დიდძალი ხე-ტყე. ამ სიახლის განხორციელება უზრუნველყოფს უსაფრთხოების ტექნიკის დაცვასაც და მაღაროს სავენტილაციო რეჟიმის გაუმჯობესებასაც.

დღეს საწარმოო გაერთიანების კოლექტივის მიერ მოპოვებული მადნის 47 პროცენტი ლენინის და ახალი ითხვისის ზ. პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოების წილად მოდის. მანგანუმის გამოზიდვა ხდება „კ-14" მარკის მიწისქვეშა საკონტაქტო ელმავლებით. რთულპროფილიანი სალიანდაგო გზების პირობებში ისინი მალე გამოდიან მწყობრიდან და, ცხადია, აფერხებენ მუშაობას. გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო წინა წლებში, როდესაც ალექსანდროვის ელმავალსაშენებელი ქარხანა სპეციალურად ამზადებდა ჭიათურის პირობებისათვის შესაფერ ელმავლებს. ეს პრობლემა სწრაფ გადაწყვეტას ელის. კარგი იქნება, თუ ზემდგომი ორგანოების უშუალო დავალებით შეიქმნება ახალი კონსტრუქციის ელმავლები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი კომბინატის მიწისქვეშა ტრანსპორტის შეუფერხებელი, უავარიო მუშაობა.

ანალოგიური მდგომარეობაა საბურღი ურიკების მხრივაც. ნოვოკუზნეცკის მანქანათსაშენებელი ქარხნის ამ საბურღ ტექნიკას წარმატებით ვიყენებდით ღრმა ბურღვისათვის. ახლა ასეთი ტექნიკა აღარ მზადდება, რაც დიდ დაბრკოლებას ქმნის მუშაობაში. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს წინაშე უნდა დაისვას გაუმჯობესებული კონსტრუქციის საბურღი ურიკების შექმნის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, არსებული ურიკების წარმოების განახლების საკითხი.

შემდეგ. საბადოში გავრცელებული მადნების გაღარიბებამ დღის წესრიგში დააყენა კარბონატული მადნების კონცენტრატების წარმოების საკითხი. ასეთი მადნების მოპოვება და გადამუშავება ახალი სიმძლავრეების ამოქმედებას, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას მოითხოვს. გათვალისწინებულია პირველი და მეორე რიგის ცენტრალური მამდიდრებელი ფაბრიკების რეკონსტრუქცია, უნდა აიგოს აგრეთვე ახალი სატვირთო-საბაგირო გზა. ამ მიზნით უკვე გამოყოფილია კაპიტალური დაბანდებანი, მიმდინარეობს დაპროექტება, მალე მშენებლობის ჯერი დადგება.

მანგანუმიანი შლამების გამდიდრების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის გათვალისწინებულია საფლოტაციო ფაბრიკაში გამოვიყენოთ მაღალი მაგნიტური ველის სეპარატორები. არსებობს სათანადო პროექტიც და დაფინანსებაც, მაგრამ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ჯერაც არ გადაუწყვეტია მაგნიტური სეპარატორების შექმნის ან დამზადების საკითხი.

ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაც. ღია სამუშაოების ხვედრითი წილი მოპოვებული მადნების მოცულობაში 30 პროცენტს შეადგენს. მაგრამ ეს მეთოდი მოითხოვს ყოველწლიურად 5 მილიონი კუბური მეტრი ფუჭი ქანის მოხსნას და გადაადგილებას. ამას ისიც ემატება, რომ ზამთარში, გაზაფხულისა და შემოდგომის უამინდობისას კარიერებზე ტრანსპორტის მუშაობა შეუძლებელი ხდება, რაც მოცდენებს, გეგმის შესრულების შეფერხებას იწვევს. ეს დაბრკოლება რომ აღმოიფხვრას, ნავარაუდევია დაინერგოს გადახსნის უტრანსპორტო სისტემა, რომელსაც წარმატებით იყენებენ ქვეყნის სხვა სამთომომპოვებელ საწარმოებში. ამ მეთოდის გამოყენებით დიმიტროვის სახელობის მაღაროს კარიერში ხუთწლედის ბოლო წელს 1,5 მილიონი კუბური მეტრი ფუჭი ქანი გადაიხსნება.

ახლო მომავალში ნავარაუდევია გაფართოვდეს რეკულტივაციისა და გადახსნითი სამუშაოები. ეს დღის წესრიგში აყენებს საკარიერო მექანიზმების — ბულდოზერების, ექსკავატორებისა და დიდი ტვირთამწეობის ავტომობილების პარკის შევსებას, სათადარიგო ნაწილებით მათ უზრუნველყოფას.

სამთოელებს თავისი სასურსათო პრობლემისთვისაც დიდი საზრუნავი აქვთ. გაერთიანების მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა ვარაუდობს 20-30 პროცენტით გაზარდოს ხორცისა და რძის წარმოება. ეს მოითხოვს პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებას.

ქვეყნის მეტალურგიული მრეწველობის სწრაფი ტემპით აღმავლობა მოითხოვს პროპორციულად მანგანუმის სამთამადნო მრეწველობის განვითარებასაც. ჭიათურელი სამთოელები, როგორც ყოველთვის, ახლაც მოწინავეთა რიგებში არიან, სამერმისო პარტნიორული მოვალეობა უფრო მეტს აკისრებთ, რისთვისაც გულდასმით შეისწავლეს ყველა შესაძლო რეზერვი, ასამოქმედებელი სიმძლავრეები და სამთო მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური კოეფიციენტის უზრუნველყოფით გადაჭრიან მათ წინაშე წამოჭრილ პრობლემურ საკითხებს.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მრავალდაზგოსანთა შრომითი ვახტი

ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკა რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა საწარმოა. პირველი პროდუქცია ცხინვალელებმა წლეულს გამოუშვეს. განვლილ შვიდ თვეში საწარმოში გეგმის გადამეტებით ათიათასობით მანეთის პროდუქცია დამზადდა.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მრავალდაზგოსანი მქსოველები ნელი გაგლოევა, ელზა გელაძე და ანა ბაზაევა. ისინი არა მარტო მნიშვნელოვნად აჭარბებენ ნორმებს, არამედ უმაღლესი ხარისხის ნაწარმსაც უშვებენ.

სურათზე: შრომითს მეტოქეობაში გამარჯვებული მრავალდაზგოსნები (მარცხნიდან): ნელი გაგლოევა, ანა ბაზაევა და ელზა გელაძე.

ლ. გუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბაგა-ბაღის ნაცვლად — პროექტი

ვისაც ამ ბოლო წლებში არ უნახავს, იქნებ ვეღარც იცნოს ეს აღორძინებული საკოლმეურნეო სოფელი. დღეს ჩაისუბანი ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი სოფელია ხოხატაურის რაიონში.

მაგრამ ერთ დიდ სამდურავსაც არ მალავენ ჩაისუბნელები: კოლმეურნეობას არა აქვს საბავშვო ბაგა-ბაღის ერთი რიგიანი შენობა, სოფელში კი ბაგის ასაკის 100-ზე მეტი ბავშვია.

კოლმეურნეობას ბაგა-ბაღისათვის დაქირავებული აქვს კერძო ბინები, რაზეც დიდძალ თანხებს ხარჯავს, ეს ბინები კი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და ყოვლად შეუფერებელია ბაგა-ბაღისათვის.

როგორც იქნა, 1979 წელს შეადგინეს ბავშვთა ბაგა-ბაღის მშენებლობის ტიპური პროექტი, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 220 ათას მანეთს შეადგენდა. ჩაისუბნელებს ეგონათ, საქმეს ახლა მაინც ეშველაო, მაგრამ ამაოდ. მას შემდეგ 3 წელზე მეტი გავიდა, მშენებლობის სატიტულო სიაში კი ჯერაც არ შეუტანიათ და ვერც სამშენებლო ორგანიზაცია გამონახეს, რომელიც ხელს მოჰკიდებდა ამ კეთილშობილურ საქმეს. ასე რომ, ჯერჯერობით კოლმეურნეებს ხელში შერჩათ მხოლოდ პროექტი, რომლის შედგენა 3596 მანეთი დაუჯდათ!

იმედია, სათანადო ორგანოები დაინტერესდებიან ამ მეტად საშური სამშენებლო ობიექტით, თორემ რა გამოდის? — კოლმეურნეობა მდიდარია, ყოველწლიურად 8 მილიონი მანეთი შემოსავალი აქვს, ნორჩები კი დაქირავებულ ქოხმახებში არიან შეხიზნულნი...

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მეცნიერული კონტაქტები

...და, რაღა თქმა უნდა, თბილისში

მადლიერების გრძნობით არის განმსჭვალული ამ წერილის ყოველი სტრიქონი, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგეს, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ სერგო კობალაძეს გამოუგზავნა ვაშინგტონიდან მეცნიერმა მედიკოსმა ფრედრიკ ვ. ვოლფმა: „სიტყვებით ძნელია გამოვხატო ჩემი გულითადი მადლიერება და აღფრთოვანება იმ საოცარი კვირით, რომელიც თბილისში გავატარე.

სამეცნიერო შეხვედრა უაღრესად საინტერესო იყო...

შეხვედრის უმნიშვნელოვანეს ასპექტად მიმაჩნია ის, რომ თქვენ შეგვკრიბეთ ერთად როგორც ჯგუფი, რომელსაც საშუალება ჰქონდა სხვადასხვა დონეზე გაეცვალა ინფორმაცია, ამასთან შექმნოდა პირველი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ხილვით, ქართველი ხალხისა და პირადად თქვენი უბადლო სტუმართმოყვარეობით...".

პროფესორი ფრედრიკ ვოლფი ვაშინგტონის ფარმაცევტულ გამოკვლევათა ინსტიტუტის პრეზიდენტია. რამდენიმე წლის განმავლობაში მას მიწერ-მოწერა ჰქონდა თავის საბჭოთა კოლეგებთან, კერძოდ, პროფესორ ა. კობალაძესთან, საიდანაც ჩანდა, რომ მზად იყო ეთანამშრომლა მათთან კლინიკური და ექსპერიმენტული ფარმაკოლოგიის დარგში, სისტემატურად გაეცვალათ მეცნიერულ მიღწევათა ინფორმაცია. შემდეგ იგი მონაწილეობდა კლინიკური და ექსპერიმენტული ფარმაკოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილ თბილისის II სამეცნიერო კონფერენციაში. თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერ მედიკოსებთან ერთად კონფერენციაზე ბევრი უცხოელი სწავლული ჩამოვიდა უნგრეთიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, იუგოსლავიიდან, იაპონიიდან, ავსტრიიდან... კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ტრადიციულად დამკვიდრებული დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის V საქართველო-უნგრეთის სიმპოზიუმი. ბუნებრივია, ამგვარი შეხვედრებისათვის შემთხვევით არ შეუჩერებიათ არჩევანი საქართველოზე.

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ფარმაკოლოგიამ — მეცნიერებამ, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე წამლის ზემოქმედებას სწავლობს, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ასე ვთქვათ, „გამოყენებითი" სფეროდან იგი სამედიცინო მეცნიერების ერთ-ერთ წამყვან დარგად გადაიქცა. ამის ნათელი დადასტურებაა ფარმაკოლოგიის სულ სხვადასხვა პროფილის მქონე ახალი დარგები — ასაკობრივი, გერიატრიული, იმუნოლოგიური, გენეტიკური და სხვა. ჩვენ თვალწინ იშვა კოსმოსური ფარმაკოლოგია, რომელიც შეისწავლის წამლის ზემოქმედებას კოსმოსურ პირობებში.

მეტყველი ფაქტია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული და კლინიკური ფარმაკოლოგიის განყოფილება, რომლებსაც სათავეში უდგას საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი სერგო კობალაძე, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის ბაზაა, სადაც უახლეს პრეპარატებს ცდიან. ქართველ მეცნიერთა სახელთან არის დაკავშირებული კვლევის ისეთი ახალი მეთოდების შექმნა და ათვისება, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს წამლების მოქმედების მექანიზმი როგორც კლინიკურ პირობებში, ისე ცხოველებზე ექსპერიმენტებისას.

ქართველ მკვლევართა მეცადინეობით არაერთი ახალი პრეპარატი დაინერგა პრაქტიკაში, მათ შორის ჩვენს ქვეყანაში შემუშავებული ეფექტიანი ანტიანგიალური საშუალება ნონახლაზინი, ქრონიკული კორონარული დაავადების სამკურნალო ფრანგული პრეპარატი კორდარონი. ქართველმა სპეციალისტებმა პირველმა გაუწიეს რეკომენდაცია გულის იშემიური დაავადების დროს ახალ ვაზოაქტიურ პრეპარატს ტრენტალს. ამ პრეპარატის შემქმნელმა, ცნობილმა დასავლეთგერმანელმა მეცნიერმა რ. მიულერმა დიდად შეაფასა ქართველ ფარმაკოლოგთა გამოკვლევები.

გარდა ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში წარმატებით სწავლობენ იმ უარყოფით მოვლენებს, რომელსაც ზოგჯერ წამლები იწვევს ადამიანის ორგანიზმში.

„ეს პრობლემა თანამედროვე მედიცინის ნამდვილი თავსატეხია", ამბობს პროფესორი ს. კობალაძე. მარტო უკანასკნელ წლებში წამლის თანმდევი 80 ათასზე მეტი უარყოფითი ზემოქმედების შემთხვევა აღრიცხა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ. ბუნებრივია, იგი დიდად აფიქრებს მეცნიერებსაც და პრაქტიკოსებსაც.

წამალმა მხოლოდ სიკეთე უნდა მოუტანოს ავადმყოფს — აი, ამ სულისკვეთებით არის განმსჭვალული მუდამ საქართველო-უნგრეთის მეცნიერ მედიკოსთა სიმპოზიუმები. ამგვარი იყო ძირითადად განწყობილება ამ კონფერენციაზეც, რომელმაც, როგორც უკვე ითქვა, არა მარტო საბჭოთა, უცხოელ მეცნიერთა დიდი ინტერესიც გამოიწვია. ამ შეხვედრებისას მიღებული ინფორმაცია, თანამშრომლობის განმტკიცების სურვილი ახალ კარგ პერსპექტივებს უსახავს ფარმაკოლოგიის განვითარებას.

ერნო ბიოსიორმენი, ბალატონფიურედის სახელმწიფო საავადმყოფოს დირექტორი (უნგრეთი): დიდად მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა მონაწილეობა მიმეღო V საქართველო-უნგრეთის სიმპოზიუმში. შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ მის ორგანიზატორებს.

ა. ლოპატინი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წამლების თანმდევი ზემოქმედების შემსწავლელი საკავშირო ცენტრის ხელმძღვანელი: მადლობას მოვახსენებ კლინიკური ფარმაკოლოგიის საკითხებზე გამართული კონფერენციის ორგანიზატორებს. კონფერენცია ფრიად ნაყოფიერი იყო, განსაკუთრებით აქტუალურად იდგა წამლების ზემოქმედების ოპტიმალური შეფასების საკითხი და ამასთან დაკავშირებული წამლების თანამდევი ზემოქმედების პრობლემა.

ვენიდან გამოგზავნილ დეპეშაში თავის კოლეგებს ხმას უერთებს ცნობილი **ავსტრიელი მეცნიერი მ. ლიუსტინა:** „კონფერენციის ყველა მონაწილემ დიდად შეაფასა ამ შეხვედრის ორგანიზაციული დონე.

ჩემი აზრით, კონფერენცია ძალზე სასარგებლო იყო. სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, რომელიც ურთიერთსაინტერესო პრობლემების ირგვლივ აზრთა გაზიარებას მოვახმარეთ.

იმედი მაქვს, მალე შევხვდებით ერთმანეთს ვენაში და, რაღა თქმა უნდა, მესამე კონფერენციაზე თბილისში".

დიახ, ჩვენი დედაქალაქი ახლა კლინიკური და ექსპერიმენტული ფარმაკოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი მომდევნო კონფერენციისათვის სამზადისშია. იგი რიგით მესამე იქნება. ერთი წელი არცთუ ისე დიდი დროა. მაგრამ მეცნიერების ამ დარგში, რომელიც დღითიდღე ვითარდება, უკვე ბევრი ახალი აქვთ სათქმელი ფარმაკოლოგებს, მათ შორის კონფერენციის ტრადიციულ მასპინძლებს — ქართველ მეცნიერ მედიკოსებს. საერთაშორისო მასშტაბის სიმპოზიუმებისა და კონფერენციების ორგანიზება თავისთავად პასუხსაგები, შრომატევადი საქმეა და იგი იტვირთეს ქართველმა ფარმაკოლოგებმა იმ კეთილშობილური სურვილით, რომ სულ უფრო ღრმავდებოდეს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობა ადამიანის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ. მათი გარჯის შედეგის ერთ-ერთი მეტყველი შეფასება კი სწორედ ის არის, რომ წლითიწლობით მატულობს კონფერენციის მასშტაბი და ავტორიტეტი, კონფერენციაში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი...

ი. გიორგობიანი.

აგრესია გრძელდება

16 აგვისტოს მუშაობა განაახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პალესტინის საკითხისადმი მიძღვნილმა VII საგანგებო სპეციალურმა სესიამ. იგი შეიკრიბა პალესტინელი ხალხის ისტორიის ტრაგიკულ მომენტში. ლიბანში ისრაელის შეჭრის დაწყების შემდეგ უშიშროების საბჭომ უკვე ცხრა რეზოლუცია მიიღო, რომლებშიც გამოთქმულია მოთხოვნა შეწყვიტონ საომარი მოქმედება, გაიყვანონ ჯარები ბეირუთიდან, განალაგონ მის რაიონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურენი. მაგრამ ისრაელი აგრესორი, რომელსაც ზურგს უმაგრებს ამერიკის იმპერიალიზმი, თავხედურად უგულებელყოფს ამ სამართლიან გადაწყვეტილებებს.

ოკუპანტებისა და მათი მფარველების მოქმედება იწვევს საბჭოთა ადამიანების რისხვას, რომლებიც გადაჭრით გმობენ ისრაელის ბარბაროსულ აგრესიას სუვერენული ლიბანისა და პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ გრძელდება ლიბანელ ხელმძღვანელებთან მოლაპარაკება ახლანდელი მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ, დასავლეთ ბეირუთში კვლავ უაღრესად დაძაბული ვითარებაა.

— არ შეიძლება ტკივილისა და თანაგრძნობის გარეშე იფიქრო ლიბანელ და პალესტინელ ხალხებზე, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის უნივერსიტეტის დოცენტმა რ. ფოჩხუამ. — ისრაელი აგრესორები ცდილობენ მოსპონ მთელი სახელმწიფო, სიკვდილსა და ნგრევას თესავენ ლიბანის მიწა-წყალზე. ეს შეიძლებოდა არ მომხდარიყო, თელ-ავივს ამერიკის შეერთებული შტატები რომ არ ეხმარებოდეს.

ლიბანში შეჭრა შორს გამიზნულ ამოცანებს ისახავს: ლიბანის მშვიდობიან ქალაქებს უშენდნენ ასიათასობით ამერიკული წარმოების ბომბს, ჭურვს, რაკეტას. მათ ურიცხვი ტანჯვა-წამება მოუტანეს ათასობით მშვიდობიან მცხოვრებს — ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს.

გადაჭრით მოვითხოვთ თეთრი სახლისგან, შეაჩეროს აღვირახსნილი აგრესორი, სოლიდარობას ვუცხადებთ ლიბანელი და პალესტინელი ხალხების ბრძოლას. თელ-ავივმა დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს გარეთ.

ომის ხანძარი ახლო აღმოსავლეთში უნდა ჩავაქროთ!

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

ქვეყნის მანქანათმშენებლობის მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი ამხ. სერგო სერაპიონის ძე მურღულია დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. ვიქტორ ალექსის ძე ბურდული დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე

ვარშავა. „ტრიბუნა ლუდუ“, „ჟოლნეჟ ვოლნოსტი“ და პოლონეთის სხვა ცენტრალურმა გაზეთებმა პირველ გვერდებზე გამოაქვეყნეს ცნობა ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის მეგობრული შეხვედრის შესახებ. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა ძირითად სფეროში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობა კვლავ მტკიცდება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის პატივისცემის, მეგობრული ურთიერთდახმარების პრინციპებზე.

საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან პოლონეთის თანამშრომლობის გაფართოება, აღნიშნავს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ტრიბუნა ლუდუ“, ხელს უწყობს პოლონეთის ეკონომიკის გაჯანსაღებას.

ამასთან გაზეთი აღნიშნავს, რომ კრიზისიდან პოლონეთის გამოსვლის პროცესს აფერხებს კონტრრევოლუციური იატაკქვეშეთის არსებობა, რომლის საქმიანობას აქეზებენ და მხარს უჭერენ გარედან, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები.

როგორც წერს არმიის გაზეთი „ჟოლნეჟ ვოლნოსტი“ ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ვ. იარუზელსკიმ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მთელი რიგი სხვა ქვეყნების მოქმედებას, რომლებიც მიმართავენ სუვერენულ სახელმწიფოებზე ზეგავლენის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ეკონომიკური სანქციები.

ცნობა ლ. ი. ბრეჟნევისა და ვ. იარუზელსკის ყირიმის შეხვედრის შესახებ არაერთხელ გადაიცა პოლონეთის ცენტრალური რადიოთი და ტელევიზიით. გადაცემებში აღინიშნა, რომ განმტკიცდა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ძმური ურთიერთობა ცხოვრების ყველა სფეროში, დასახულია თანამშრომლობის ფართო პერსპექტივები.

პოლონეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აღნიშნავენ, რომ ლ. ი. ბრეჟნევისა და ვ. იარუზელსკის შეხვედრამ ყირიმში გულთბილ ვითარებაში ჩაიარა და დაადასტურა შეხედულებათა სრული ერთიანობა როგორც ორმხრივი ურთიერთობის განვითარების, ისე საერთაშორისო საკითხებში.

● ინდოეთ-სსრ კავშირი

მეგობრობის მანიფესტაციები

დელი. ინდოეთში გრძელდება ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების 11 წლის თავსა და ინდოეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 35 წლის თავს. მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების — ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოებისა და საზოგადოება — საბჭოთა კავშირის მეგობრობის გეგმით ინდოეთის სხვადასხვა ქალაქებსა და შტატებში ახლა ეწყობა საზეიმო კრებები, კონფერენციები, სემინარები, გამოფენები, შეხვედრები საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

დელისაგან ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის ესტაფეტა გადაეცა ჩანდიგარჰს, ინდოეთის ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა და ულამაზეს ქალაქს, ერთბაშად ორი შტატის — ფენჯაბისა და ჰარიანის დედაქალაქს. ქალაქის უდიდეს დარბაზში, რომელიც განლაგებულია ფენჯაბის სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, გაიმართა ინდოელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის მასობრივი მიტინგი.

გულთბილად და გულითადად მიესალმნენ ჩანდიგარჰელები საბჭოთა საზოგადოებრიობის დელეგაციას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ს. ნ. იმამევის მეთაურობით.

მიტინგზე გამოსვლისას ფენჯაბის შტატის მთავარმა მინისტრმა დარბარა სინგჰმა განაცხადა, რომ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელი ინდოეთის პირველმა პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ, ამჟამად წარმატებით ვითარდება.

დიდი ყურადღებით მოუსმინეს მიტინგის მონაწილეებმა საბჭოთა დელეგაციის მეთაურს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ს. ნ. იმამევს.

● ირლანდია

პოლიტიკური სკანდალი

დუბლინი. ირლანდიის გენერალური პროკურორის პ. კონოლის სახლში დააპატიმრეს კაცი, რომელსაც ბრალად ედება ორი მკვლელობა. იგი აქ იმყოფებოდა კონოლის ნებართვით 9 დღის განმავლობაში. პროკურორმა განაცხადა, მე არ ვიცოდი, რომ პოლიცია ამ კაცს ეძებდაო.

პ. კონოლი გადადგა. ამასთან დაკავშირებით მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ახლა მთავრობა საკმაოდ ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კონოლი არა მარტო ქვეყნის უმაღლესი იურიდიული პირია, წერს ლონდონის „ტაიმსი“, არამედ ირლანდიის პრემიერ-მინისტრის ჩ. ხოხის პირადი მეგობარიც გახლავთ.

მზეს ცხაურით ვერ დაჩრდილავ

19 აგვისტო ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული, დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა

დღეს, ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში, ისევე როგორც სხვა ქალაქებში, მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომლებიც რევოლუციური ავღანეთის წინააღმდეგ ამერიკის მეთაურობით იმპერიალიზმის ძალების მიერ გაჩაღებულმა გამოუცხადებელმა ომმა გამოიწვია, ჩვეულებრივი შრომითი ცხოვრება სუფევს.

შარშან სახალხო ხელისუფლებამ არამცთუ შეძლო დემოკრატიული ავღანეთის ინდუსტრიის მტკიცე საფუძვლების შენარჩუნება, არამედ მათი შემდგომი პროგრესიც უზრუნველყო. გაიზარდა წარმოება, ეროვნული შემოსავალი, საგარეო ვაჭრობა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ეროვნული კულტურის განვითარების გზაზე.

სულ უფრო მტკიცედ დგება ფეხზე სოფლის მეურნეობა, თუმცა აგრარული რეფორმის პროცესში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. გარდაქმნათა პირველი ეტაპის შედეგად 300 ათასამდე უმიწო და მცირემიწიანმა გლეხმა ნადელი მიიღო, უმჯობესდება სოფლის მომარაგება ინვენტარითა და [illegible] ამ [illegible] როლს [illegible] მეურნეო კოოპერატივები (უკვე არსებულის გარდა დამატებით დადგენილია კიდევ 150 კოოპერატივის დაარსება პროვინციებში). გაზეთი „ქაბულ ნიუ ტაიმსი“ წერს, რომ კოოპერატივები იქმნება ჰერათის, ყანდაგარის, გჰორის, ნიმროზის, ბალხის და სხვა პროვინციებში. თითქმის ყველგან იქმნება რევოლუციის დამცველთა რაზმები, რომლებიც ყიშლაღებსა და მეურნეობებს იცავენ ბასმაჩთა ბანდების თავდასხმებისაგან.

სრულიად აშკარაა, რომ ავღანელ ხალხს სწორედ აპრილის რევოლუციის მტრები (ვაშინგტონის, პეკინისა და ისლამაბადის მხარდაჭერით) უშლიან ხელს იმაში, რომ თავის მიწა-წყალზე მშვიდად ცხოვრობდეს და შრომობდეს. დასავლეთის პროპაგანდა ყოველდღიურად დაჟინებით ცდილობს გააქარწყლოს ეს უცილობელი ფაქტი, ყველაფერი ყირამალა დააყენოს. მაგრამ ავღანური ანდაზისა არ იყოს, „მზეს ცხაურით ვერ დაჩრდილავ!“.

საბჭოთა კავშირისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების ინტერნაციონალური და უანგარო დახმარების დადასტურებაა ახალი სამრეწველო საწარმოები და საცხოვრებელი ბინები, მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო ცენტრები და ჰიდროელექტროსადგურები.

ქაბულის ჩრდილოეთით მდებარე ბაგლანის პროვინციის სამაზრო ქალაქი პული-ჰუმრი ავღანეთის ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრად ითვლება. კარგად არის ცნობილი მისი ცემენტის ქარხანა, ჰიდროელექტროსადგური, მდინარე პული-ჰუმრიზე, საფეიქრო და შაქრის ფაბრიკები, ელევატორი, წისქვილი და სხვა საწარმოები.

ამას წინათ აქ მწყობრში ჩადგა რკინაბეტონის ბურჯების ქარხანა, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით აიგო. მის პროდუქციას გამოიყენებენ სსრ კავშირის საზღვრიდან ქაბულამდე 220 კილოვატი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გასაყვანად. მისი მეშვეობით გადაიჭრება ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთი და ცენტრალური რაიონების ელექტროენერგიით მომარაგების პრობლემა.

ავღანეთი მტკიცედ მიაბიჯებს ახალი, ბედნიერი ცხოვრებისაკენ მიმავალ გზაზე. რევოლუციური გარდაქმნების პროცესი შეუქცევადია. და ადრე თუ გვიან იძულებული იქნებიან ეს ჭეშმარიტება აღიარონ იმათაც, ვინც ახლა დაძაბულობას ქმნის აზიის ამ ქვეყნის გარშემო. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მებრძოლები, ქვეყნის მშრომელები ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით ფხიზლად იცავენ აპრილის რევოლუციის მონაპოვრებს და ღრმად სწამთ თავიანთი ქვეყნის ნათელი და ბედნიერი მომავალი.

ავღანეთში მიწის რეფორმის განხორციელების გეგმის შესაბამისად გრძელდება გლეხებისათვის მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მიცემა. სურათზე: სოფელ ხუნლაყის გლეხები იღებენ დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნულია მიწის მფლობელის ვინაობა, ნაკვეთის ზომა, მისი წყლით მომარაგების წესი: ზოგიერთი მათგანი სიხარულის ცრემლსაც ვერ ფარავს.

ადნ-საკდესის ფოტო.

დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს

სოფია. ხელმძღვანელობენ რა ორი ქვეყნის და ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების სურვილით, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ და ბოტსვანის რესპუბლიკამ გადაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ საელჩოების დონეზე. ამას იუწყება ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო.

დაიწყო გამოძიება

ჯაკარტა. ინდონეზიის პოლიციამ დაიწყო საგარეო საქმეთა სამინისტროს 54 თანამშრომლის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების და სხვადასხვა ფინანსური მაქინაციის შედეგად მათ მილიონ დოლარზე მეტი სახელმწიფო ფული მიითვისეს.

ტელეტაიპის

მოკლედ

ლენტიდან

ტერორიზმთან საბრძოლველად

პარიზი. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა ეროვნული ტელევიზიით გამოსვლისას გამოაცხადა, რომ მთავრობის საბჭოს სხდომაზე მოიწონეს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. კერძოდ, მთავრობამ გადაწყვიტა გააძლიეროს ქვეყანაში უცხოელ მოქალაქეთა ჩასვლისა და მათთვის ვიზების მიცემის კონტროლი, გაზარდოს იმ პოლიციელთა და ჟანდარმთა რაზმების რიცხვი, რომლებიც სასაზღვრო კონტროლს ეწევიან და იცავენ უცხოეთის წარმომადგენლობებს. დაწესდა შინაგან საქმეთა და დეცენტრალიზაციის მინისტრის სახელმწიფო მდივნის ახალი პოსტი, დაინიშნა აგრეთვე ტერორიზმთან ბრძოლის კოორდინატორი.

სავალალო სტატისტიკა

რომი. 460 კაცი დაიღუპა და 10 ათასამდე დაშავდა იტალიის გზებზე საავტომობილო კატასტროფების შედეგად 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე იტალიელთა მასობრივი შვებულებების პერიოდში. ეს მონაცემები გაავრცელა იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

მარტო გასულ შაბათკვირას, ყველაზე ინტენსიური საავტომობილო მოძრაობის დღეებში, საგზაო ავარიების შედეგად 40 კაცი დაიღუპა.

18 აგვისტო

საერთაშორისო ცხოვრება დედამიწის ზურგზე

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

ვითარება კვლავ დაძაბულია

ბეირუთი. კვლავ დაძაბული ვითარებაა ლიბანის დედაქალაქში. დროდადრო ქალაქის თავზე დაფრინავენ ისრაელის ავიაგამანადგურებლები. ბეირუთის მიდამოებში წარმოებს ისრაელის ჯარების გადაადგილება. 16 აგვისტოს ოკუპანტებმა არაერთხელ დაუშინეს ცეცხლი პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობისა და ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანებული რაზმების პოზიციებს ბეირუთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბნებში, აგრეთვე სირიის ჯარებს დასავლეთ ბექააში. სიონისტების პროვოკაციების მიუხედავად, ქალაქის დამცველები და სირიის ნაწილები თავს იკავებენ და არ უპასუხებენ აგრესორების მოქმედებას. ინტერვენტები კვლავ ჯიუტად არ რთავენ ნებას ქალაქის ალყაშემორტყმულ ნაწილში შეიტანონ სურსათი, მედიკამენტები, საწვავი, წყვეტენ წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდებას. ისრაელის მხედრიონის მიზანია მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდეს ლიბანის დედაქალაქის მოსახლეობა, სულიერად გატეხოს დასავლეთ ბეირუთის დამცველები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პერეს დე კუელიარმა გამოაქვეყნა მოხსენება ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალების ოპერაციების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ ისრაელმა მკვეთრად შეზღუდა მათი შესაძლებლობანი წმინდად ჰუმანური ხასიათის მოქმედებაშიც კი, როგორიცაა ლტოლვილებისადმი სამედიცინო და სასურსათო დახმარების გაწევა.

ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 16 აგვისტოს 11 საათსა და 00 წუთზე გრინვიჩის (15 საათსა და 00 წუთზე მოსკოვის) დროით ისრაელებმა აუკრძალეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელ პერსონალს ლიბან-ისრაელის საზღვრის გადაკვეთა ორივე მიმართულებით.

პრეზიდენტი ი. სარქისი შეხვდა ამერიკის ემისარს ჰაბიბს, რომელმაც ლიბანის ხელმძღვანელობას გააცნო მის მიერ ისრაელში გამართული მოლაპარაკების შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს მალე უნდა დამთავრდეს კონტაქტები ლიბანის დედაქალაქის ალყის მოხსნის მიზნით, ბეირუთში არ ფარავენ შიშს, რომ უკანასკნელ მომენტში ისრაელი შეეცდება ჩაშალოს დასახული მორიგება. ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნავს ვაფას სააგენტო, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია დაჟინებით მოითხოვს, რომ დაშორიშორების საერთაშორისო ძალები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურენი განალაგონ ბეირუთში, სანამ ქალაქიდან გაიყვანდნენ პალესტინელ მებრძოლებს.

დასავლეთ გერმანიის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში არაფატმა განაცხადა, რომ „ისრაელს არაერთხელ უთქვამს უარი იმაზე, რაზეც მანამდე დათანხმებულა“. „მე ყველაზე უარესს ველი“, — თქვა მან.

აქამდე ლიბანის პოლიტიკურ წრეებში მწვავე დისკუსიას იწვევს ქვეყნის ახალი პრეზიდენტის არჩევნების მიზნით პარლამენტის სხდომის მოწვევის საკითხი. სხდომა 19 აგვისტოსათვის არის დანიშნული. პრეზიდენტმა სარქისმა თათბირი მოაწყო ლიბანის არმიისა და უშიშროების ძალების ხელმძღვანელებთან და დაუსახა ამოცანა უზრუნველყონ პარლამენტის დაუბრკოლებელი მუშაობა. მაგრამ ქვეყნის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე სერიოზულად ეჭვობს, რომ შესაძლებელია დეპუტატთა თავისუფალი ნების გამოხატვა ისრაელის მიერ ლიბანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციისა და დასავლეთ ბეირუთის ბლოკადის პირობებში.

პარიზი. სავსებით აშკარაა, აღნიშნავს გაზეთი „მონდი“, რომ ბეგინი და მისი მომხრენი არ აპირებენ პალესტინელებთან ერთად განიხილონ პალესტინის მიწა-წყალზე ჰარმონიულად თანამოარსებე პალესტინელთა და ებრაელთა სახელმწიფოების შექმნის პრობლემა. პირიქით, მათ ეს ომი გააჩაღეს იმ მიზნით, რომ განახორციელონ თავიანთი ძველი ოცნება მეზობელი არაბული სახელმწიფოების ინტერესების საზიანოდ „დიდი ისრაელის“ შექმნის შესახებ. ნათელია აგრეთვე, წერს შემდეგ გაზეთი, რომ საქმე ეხება ამერიკის შეერთებული შტატებისა და სიონისტების ერთობლივ სტრატეგიას, რომლის მიზანია ამ დიდმნიშვნელოვან რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობის უზრუნველყოფა პალესტინის წინააღმდეგობის ლიკვიდაციის, ლიბანში მათთვის სასურველი პოლიტიკური რეჟიმის დამყარებისა და რეგიონის სხვა სახელმწიფოებში პროამერიკული რეჟიმების გაძლიერების გზით.

ფაქტის კომენტარი

კიდევ ერთი უგუნური დოქტრინა

ამერიკის პრესის ცნობიდან გამოირკვა, რომ პრეზიდენტ რეიგანის მითითებით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყებამ დაამთავრა სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომლის მიზანია, როგორც ნათქვამია დოკუმენტში, უზრუნველყოს შეერთებული შტატებისათვის „პოტენციალი საბჭოთა კავშირთან ხანგრძლივი ბირთვული ომის წარმოებისათვის“.

პენტაგონის ახალი გეგმა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის საერთო სამხედრო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია. გაზეთ „ლოს-ანჯელოს ტაიმსში“ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ გეგმამ უნდა შეავსოს წინა ადმინისტრაციის სტრატეგიული დოქტრინა, რომელიც ცნობილია როგორც დირექტივა ნომერი 59, რომლის თანახმადაც პირველად ოფიციალურად იყო გამოცხადებული, რომ დასაშვები და შესაძლებელიც კია შეზღუდული ბირთვული ომი.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობამ დაგმო პრეზიდენტ კარტერის ეს აშკარა კურსი — ბირთვული ომის გაჩაღებისათვის მზადების კურსი. ნომერ 59-მა დირექტივამ, ყოფილი ადმინისტრაციის სხვა მილიტარისტულ გეგმებთან ერთად, დასავლეთში გამოიწვია მძლავრი ომისსაწინააღმდეგო მოძრაობა ბირთვული საფრთხის თავიდან აცილების ლოზუნგებით.

1980 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს რ. რეიგანს ხელიდან არ გაუშვია შესაძლებლობა გაეკრიტიკებინა თავისი წინამორბედის ასეთი საგარეო-პოლიტიკური კურსი. ზოგჯერ იგი თავს ლამის ომის მოწინააღმდეგედაც აცხადებდა, არწმუნებდა ამომრჩევლებს, თუ პრეზიდენტად ამირჩევთ, მშვიდობას უზრუნველვყოფო, მაგრამ გადააბიჯა თუ არა თეთრი სახლის ზღურბლს, რეიგანმა სულ სხვაგვარად წარმართა საქმე. მის პრიორიტეტებში მთავარი ადგილი დაიკავა არნახული მასშტაბის გამალებულმა შეიარაღებამ. წინასაარჩევნო დაპირებებისაგან კვალიც აღარ დარჩენილა.

ახლა კი რ. რეიგანი კარტერის დოქტრინას ცვლის კიდევ უფრო მილიტარისტული, მსოფლიოსა და კაცობრიობის საქმისადმი უფრო მტრული დოქტრინით. ამ გეგმის დახასიათებებისას იმავე „ლოს-ანჯელოს ტაიმსი“ ამ დღეებში წერდა: „პრეზიდენტ რეიგანის სტრატეგიული დოქტრინა კიდევ უფრო შორს მიდის ბირთვული ომის დროს საბრძოლო მოქმედების შესახებ პოზიციის ფორმულირებაში, ვიდრე კარტერის დოკუმენტი, რადგან იგი მიზნად ისახავს გამარჯვების მოპოვებას „ხანგრძლივ ბირთვულ ომში“. გაზეთი წერს, რომ ამ სტრატეგიის შესაბამისად ადმინისტრაციამ უკვე შეიტანა ბიუჯეტში 18 მილიარდი დოლარი ჯარების მართვისა და კავშირის სისტემის შესაქმნელად, რომელიც „გაუძლებდა ხანგრძლივ ბირთვულ ომს“.

კანონიერია დავსვათ კითხვა: შეგნებული აქვთ თუ არა პენტაგონში, რომ აგრესორის მოქმედება, რაც უნდა დაერქვას მათ — „შეზღუდული ბირთვული ომი“, „დამსწრები ბირთვული დარტყმა“ და ა. შ. — აუცილებლად და დაუყოვნებლივ გამოიწვევენ საპასუხო დარტყმას. მხოლოდ საღ აზროვნებას მოკლებულ ადამიანებს შეუძლიათ ამტკიცებდნენ, თითქოს ბირთვული ომი შეიძლება რაიმე ფარგლებით შეზღუდო და მასში გაიმარჯვო.

ახალი დოქტრინების ავტორთა უპასუხისმგებლობა ღრმა შეშფოთებას იწვევს შეერთებულ შტატებში. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ს. ვენსმა განაცხადა, რომ „ხანგრძლივი ბირთვული ომის წარმოებაზე ლაპარაკი უგუნურებაა“. ამას წინათ შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიდან გადამდგარმა გენერალმა დ. ჯოუნსმა განაცხადა, რომ ბირთვული ომი არ შეიძლება იყოს არც „შეზღუდული“, არც „ხანგრძლივი“.

არის სხვა გონივრული გზა, რომელიც ქმნის ბირთვული კატასტროფისა და მისთვის მზადების თავიდან აცილების შესაძლებლობას. საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა ინიციატივა და იკისრა ვალდებულება პირველმა არ იხმაროს ბირთვული იარაღი. ასეთი ვალდებულება სხვა ბირთვულ სახელმწიფოებსაც რომ ეკისრათ, პრაქტიკულად ეს იქნებოდა უარის თქმა ბირთვული იარაღის გამოყენებაზე. სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია დადებითად არ გამოხმაურებია საბჭოთა ინიციატივას. (საკდესი).

● მოზამბიკი

რასისტთა დანაშაული

ლისაბონი. როგორც პორტუგალიის საინფორმაციო სააგენტო მაპუტუდან იუწყება, პრეტორიის რასისტული რეჟიმის აგენტების მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად მოზამბიკის დედაქალაქ მაპუტუში მოკლეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკის ეროვნული კონგრესის თვალსაჩინო მოღვაწე ქალი რუთ ფერსტი. რასისტთა მხრივ დევნის გამო რ. ფერსტი იძულებული იყო სამშობლო მიეტოვებინა. ბოლო წლებში იგი ემიგრირებული იყო მოზამბიკაში, სადაც ნაყოფიერად მუშაობდა ახალგაზრდა სახელმწიფოს დედაქალაქის „აფრიკის კვლევის ცენტრში“.

1.

მეგობრობის ფურცლები

ქართველები ბაქოში

მეცხრამეტე საუკუნის დამლევსა და მეოცე საუკუნის დამდეგს ბაქოში შეიქმნა „ბაქოს ქართული კოლონია“. საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროში არ შეხვდებოდით აქ ქართველებს.

კრიზისის წლებში, როდესაც „რუსული ნავთობის ბაქოს საზოგადოება“ მთლიანად ინგლისელების ხელში გადავიდა უმუშევრები გამრავლდნენ. ამ დროს ყველაზე მეტად მაინც მცირერიცხოვანი ბაქოელი ქართველები იჩაგრებოდნენ. მხოლოდ ძმური დახმარება თუ იხსნიდა ქართველებს გაჭირვებისა და დამცირებისაგან. ბაქოს მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ყოველ წელიწადს აწყობდა საქველმოქმედო საღამოებს და შემოსავალს გაჭირვებულ თანამოძმეებს უნაწილებდა.

2.

„ქართული საღამოები“ ბაქოში ტრადიციად გადაიქცა, — წერდა „სახალხო გაზეთი“ 1914 წელს, — ოცდახუთი წელიწადია, რაც ეს საღამოები იმართება. ყოველი ოჯახი თავის მოვალეობად თვლის დაესწროს და თავისი წვლილი შეიტანოს მასში.

წინათაც და ახლაც აქაურები ამ საღამოების შემოსავლით უძღვებოდნენ თავიანთ კულტურულ დაწესებულებას“.

„ქართულ საღამოებში“ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანელებიც, მაგრამ საერთო შემოსავალი საქმეს ვერ შველოდა, ქართველთა უმეტესობას მინიმალური საარსებო სახსრებიც არ გააჩნდა. 1903 წელს შეიქმნა კიდევ ერთი საზოგადოება, რომელსაც ეწოდებოდა „პროფესიული საზოგადოება“.

1903 წელს ჩამოყალიბდა ბაქოს ქართული დრამატული დასი, რომელიც 1909 წელს თეატრად გადაიქცა.

1904 წელს დაიდგა ვ. გუნიას პიესა „და-ძმა“. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო, დიდი იყო შემოსავალიც, რომელიც ა. ჯაფარიძის ხელით მთლიანად გადაეცა პარტიულ ორგანიზაციას. ასე გრძელდებოდა შემდგომშიც. ბაქოს ქართველთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა, 1908 წელს მან 4.000-ზე მეტს მიაღწია.

1909 წლის 1 თებერვალს გაიმართა

3.

ბაქოს ქართველთა საზოგადოების პირველი დამფუძნებელი კრება. ამ დღიდან დაიწყო არსებობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილებამ, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მ. თაქთაქიშვილი.

ქართველი საზოგადოებრიობა დიდ დახმარებას უწევდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილებას. 1918 წელს მის საპატიო წევრად აირჩიეს ი. მანსვეტაშვილი, რომელმაც ქართული სკოლაც ააშენა.

საზოგადოების მუდმივი წევრები იყვნენ აზერბაიჯანელებიც — ლიზი-ხანუმ მუხთაროვა და მისი მეუღლე მურთაზ მუხთაროვი, რომლებიც დახმარებას არ აკლებდნენ ქართველებს. ლიზი ხანუმ მუხთაროვამ ქართველ ქალთა პროფესიულ სკოლას 500 მანეთი შეწირა. და იგი საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს.

მუხთაროვების სახლში უსასყიდლოდ ცხოვრობდნენ ქართველები, რომლებიც დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდნენ.

ბაქოს ქართველობა მუდამ იყო საქართველოს ცხოვრების კურსში, ეხმაურებოდა ყოველივეს, რაც სამშობლოში, განსაკუთრებით კი მის კულტურულ ცხოვრებაში ხდებოდა. 1907 წელს საქართველოში აღინიშნა ილია ჭავჭავაძის

4.

დაბადების 70-ე წლისთავი. ბაქოს ქართველობაც ფართოდ გამოეხმაურა ამ თარიღს. 1908 წლის 21 დეკემბერს დიდი ზეიმით აღნიშნეს ა. წერეთლის იუბილეც. 1911 წელს კი გამოჩენილი აზერბაიჯანელი დრამატურგისა და ფილოსოფოსის მირზა ფატალი ახუნდოვის დაბადების 100 წლის თავი. ბაქოს ქართული თეატრის რეპერტუარი გამდიდრდა მისი დრამატული ნაწარმოებებით.

მოწინავე ქართველებს არც სამრეწველო რაიონები დაუტოვებიათ უყურადღებოდ. ბალახანსა და ვაგზლის რაიონში მათ დააარსეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც ქართველი მუშები სხვა მასალებთან ერთად ეცნობოდნენ რევოლუციურ ლიტერატურას და პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ მუშებს შორის.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბაქოს ქართული სკოლის მუშაობა სრულიად ჩაკვდა აზერბაიჯანელი ხალხის ინტერესთა გამცემი მუსავატელების ხელისუფლების მეოხებით. სკოლა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1920 წლის 1 სექტემბერს აღდგა და განახლდა.

ბაქოელ ქართველებს ჰქონდათ თავიანთი ბეჭდვითი ორგანოები, რომელთა

5.

გარშემო შემოკრებილი იყვნენ მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები.

1910 წლის 14 იანვარს ბაქოში გამოვიდა ქართული ყოველკვირეული პოლიტიკურ-ლიტერატურული და სამეცნიერო-საისტორიო გაზეთის „მარცვლის“ პირველი ნომერი (სულ 100 ნომერი გამოვიდა), 1918 წლის 1 იანვრიდან — ქართული ყოველკვირეული პოლიტიკურ-ლიტერატურული ჟურნალი „წყარო“.

ბაქოში მცხოვრები ქართველები ყოველთვის პოულობდნენ მხარდაჭერასა და დახმარებას ბაქოელი მუშებისა და მშრომელი მოსახლეობისაგან. სწორედ ეს ურთიერთობა და საბრძოლო თანამეგობრობა აკავშირებდათ აზერბაიჯანელ, რუს, სომეხ და ქართველ რევოლუციონერებს. მათი ბევრი წარმომადგენელი გმირულად დაიღუპა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვადასხვა ხალხის, მშრომელი ადამიანების მეგობრობასა და ძმობას ფართო გზა გაუხსნა დიდმა ოქტომბერმა. დღეს ამიერკავკასიის ხალხთა გული საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობით არის გასხივოსნებული.

მ. გიულმამედოვი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



განახლებული წარსული — მომავლისათვის

ანუ როგორ უბრუნდება თავდაპირველი სახე თბილისის კიდევ ერთ ძველ უბანს

მტკვრის სანაპიროებიდან თუ თვალს შევავლებთ რიყის თავს, სირაჯხანასთან უთუოდ შენიშნავთ ამწეს, ჩამონგრეულ შენობათა ნაწილს და ახლად ამოყვანილ კედლებთან მომუშავე მუშებს. რესტავრატორები ეწვივნენ ძველი თბილისის ამ ისტორიულ უბანს, რომლის მისამართია: დუტუ მეგრელისა და ღვინის აღმართის ქუჩები.

თავისთავად ამ დასახლებამ არქიტექტორთა ყურადღება იმითაც მიიქცია, რომ იგი რიყეს გადმოჰყურებს და მისი რესტავრაციის შემდეგ მთელი ეს უბანი დარეჯანის სასახლესთან, გალავანთან და მათ გარშემო ტერიტორიასთან ერთად ძველი თბილისის განაშენიანების მთლიან მხატვრულ პანორამულ სახეს შექმნის. აქვე ისიც უნდა დაემატოს, რომ დღის წესრიგში დგას მოსაზღვრე ტერიტორიის — ბარათაშვილის აღმართის თავზე განაშენიანების რეკონსტრუქცია-რეგენერაციის საკითხი, რომელიც უკვე დაწყებულია და, რასაკვირველია, მისი იერსახის აღდგენის შემდეგ, კიდევ უფრო ლამაზი სანახავი იქნება ძველი თბილისის ეს მონაკვეთი.

რიყისთავზე, ძველ სირაჯხანასთან დასახლებამ იმითაც მიიპყრო რესტავრატორთა ყურადღება, რომ აქ არსებული შენობები სხვადასხვა პერიოდშია აგებული — ზოგი გასულ საუკუნის მიწურულს, ზოგიც ამ საუკუნის დამდეგს, რაც თავისთავად იმ დროის სამშენებლო ხელოვნების დონეს მოწმობს. ყველა სახლს თავისებური სახე აქვს, საინტერესოდ არიან კომპოზიციურად დაჯგუფებული. ღვინის აღმართის მხრიდან გამომავალ შენობათა ფასადები კლასიკურ არქიტექტურულ სტილზეა ნაგები, დუტუ მეგრელის ქუჩაზე მდებარე ნაგებობათა ფასადებს მათი დანიშნულებისდა მიხედვით, შესაფერისი არქიტექტურა აქვს, ხოლო საცხოვრებელი სახლები უკვე ტიპური თბილისური აივნებით არის დამშვენებული. დროთა განმავლობაში დასახლებამ განიცადა ცვლილება. გაჩნდა მინაშენები, ზოგიც დაინგრა, შენობათა უმეტესობა დღესდღეობით ავარიულ მდგომარეობაში იყო და ამდენად რესტავრატორებმა მათ დროულად მოუსწრეს. საარქივო ფოტომასალებისა და ისტორიული წყაროების შესწავლის საფუძველზე არქიტექტორებმა შეძლეს ამ უბნის უძველესი სახის აღდგენა. პროექტი შეიქმნა „თბილისქალაქპროექტის“ დედაქალაქის სახელმწიფო დაცვითი ზონის რეკონსტრუქციისა და რეგენერაციის სპეციალურ სახელოსნოში. მისი ავტორები არიან სახელოსნოს ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გოგა ბათიაშვილი და ახალგაზრდა არქიტექტორები მალხაზ ლეკვეიშვილი და დავით ჟღენტი.

აღსანიშნავია, რომ ძველი თბილისის აღდგენის საქმეში პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს რესპუბლიკის სამინისტროებმა, საწარმოებმა, რომლებიც თბილისის აღმასკომთან ერთად, თავიანთი სახსრებით ახორციელებენ არქიტექტორთა მიერ შედგენილ პროექტებს. ამჯერადაც, დუტუ მეგრელისა და ღვინის აღმართს შორის განაშენიანების სარესტავრაციო სამუშაოებს, თბილისის აღმასკომის სამსახურებთან ერთად, აწარმოებენ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, საქართველოს გეოლოგიის სამმართველო და რესპუბლიკის მომარაგება-გასაღების სახელმწიფო კომიტეტი.

როგორია თვით განაშენიანების აღდგენითი პროექტი, რას ითვალისწინებს იგი? როგორც სახელოსნოს ხელმძღვანელმა გ. ბათიაშვილმა აგვიხსნა, ძირითადად შენარჩუნებული და აღდგენილი იქნება ძველი უბნის სახე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს არ მოხდება „ქირურგიული“ ჩარევა. ეს ადგილი გაიწმინდება ამორტიზებული მინაშენებისაგან. რიყის კონცხი ბარათაშვილის აღმართის დამაგვირგვინებელი ნაწილია, და აქ აღადგენენ იმ სახლებს, რომლებიც არ შემორჩენილა. სარეკონსტრუქციო სამუშაოები ეყრდნობა თანამედროვე არქიტექტურულ პრინციპებს, ნაგებობებში კომფორტული პირობების შექმნას. ავტორები ითვალისწინებენ არა მარტო შენობათა გაჯანსაღებას, არამედ თვით ტერიტორიის კეთილმოწყობასაც. რიყის კონცხი, რომელზეც დასახლების ნაწილია გაშენებული, გამოფიტული ქანებისაგან შედგება და რეკონსტრუქციის დროს ამ ფაქტორსაც ითვალისწინებენ, მიმდინარეობს კლდის გამაგრების სამუშაოები.

სახეს იცვლის ამ უბნის ყველაზე მაღალი, სამსართულიანი შენობა, რომლის ფასადი ერთი მხრივ რიყეს გადმოჰყურებს, მეორეს მხრივ — აღმართს, მას ძველი მინაშენები ჩამოაცილეს და ამდენად ყრუ კედლები დარჩა. სარესტავრაციო პროექტში ამ შენობას ისეთი გადაწყვეტა მოუნახეს, რომ იგი ოთხივე მხრიდან მხატვრული თვალსაზრისით ტოლფასოვნად იქნება წარმოჩენილი და ამ ზონისათვის მას დამაგვირგვინებელი სახე ექნება. სარეკონსტრუქციო უბანში მოწყობილი იქნება ქუჩის ძველებური განათება, თვით ქუჩა ქვით მოიკირწყლება.

დასახლების მთლიანი რესტავრაცია-რეგენერაციის სამუშაოების დამთავრება მომავალი წლის თბილისობისათვის არის გათვალისწინებული.

— ამჟამად თქვენს სახელოსნოში ძველი თბილისის აღდგენის კიდევ რომელ ახალ პროექტზე მუშაობთ, რომელიც მალე შეისხამს ხორცს? — ვკითხეთ გ. ბათიაშვილს.

— ჩვენთან დამუშავებული პროექტის მიხედვით სიონის სანაპიროზე წარმოებს აქ არსებული ქარვასლის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები, მიმდინარეობს მუშაობა სიონის სანაპიროსა და სიონის ქუჩის აღდგენის სარეკონსტრუქციო პროექტზე. სულ მალე დამთავრდება გორგასლის ქუჩა № 17 სახლის რესტავრაცია, სადაც პირველ სართულზე გაიხსნება წიგნის მაღაზია, მეორე სართული დაეთმობა გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტის მირზა ფატალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმს. ჩვენი არქიტექტორები მუშაობენ ძველი კალას უბანში ცალკეული სახლების რესტავრაციის პროექტებზე.

ლარისა ხუბულური.

● ●

სურათებზე (მარცხნიდან): დ. მეგრელის ქუჩისა და ღვინის აღმართის განაშენიანების რესტავრაცია-რეგენერაცია-ადაპტაციის პროექტი; მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები (მარცხნიდან): გეოლოგიური სამმართველოს სამშენებლო უბნის სამუშაოთა მწარმოებელი ნ. ბუგიანიშვილი, პროექტის ავტორები — გ. ბათიაშვილი, მ. ლეკვეიშვილი და დ. ჟღენტი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

მიწისქვეშა საუკუნეები

საჩხერის არქეოლოგიური...

ოც წელზე მეტია, რაც საქართველოს ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია ზემო იმერეთის ძეგლებს სწავლობს და ამ ხნის მანძილზე 50-მდე მიწისქვეშა არქეოლოგიურ ძეგლს მიაკვლია საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში. მათგან საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია საირხის ნაქალაქარი. ეს სოფელი მდინარე ყვირილას მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, საჩხერის სამხრეთით, ასე, 2 კილომეტრზე. აქ ჯერ კიდევ 15-ოდე წლის წინათ გვქონდა მცირე არქეოლოგიური გათხრები და საწარმოო უბნებიც აღმოვაჩინეთ, სადაც ბრინჯაოსა და რკინას ადნობდნენ. სოფლის დასავლეთით მოვიკვლიეთ ნაყოფიერების ღვთაების სახელზე აგებული ტაძრის ნაშთები, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნით თარიღდება და ერთ-ერთი უძველესი ხუროთმოძღვრული ნაგებობაა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. ათობით ჰექტარზე აკრეფილი ზედაპირული მასალებიც კი გვარწმუნებდა, რომ საირხე ანტიკურ-ელინურ ხანაში უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო დასახლებული, და გამოვთქვით მოსაზრება, რომ იგი შესაძლოა ძველი ბერძენი მწერლის **კლავდიოს პტოლემაიოსის** გეოგრაფიაში დასახელებული კოლხეთის ქალაქი **სარაკე,** ყოფილიყო, ისე, როგორც **სარაპანისი, შორაპანი და ხევსამორა—წიწამური.** შემდგომ დიდხანს არ გვქონდა საშუალება საირხეში კვლავ გვეწარმოებინა არქეოლოგიური გათხრები. წლეულს კი ბამბის სართავი ფაბრიკის მშენებლობისას ნაწილობრივ დაზიანდა ძველი ნაგებობის კედლები და მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, არსებული წესის საფუძველზე, ძეგლის შესწავლა თანხა გამოგვიყო. ასე შევუდექით მუშაობას თხუთმეტი წლის შემდეგ. გავწმინდეთ საკმაოდ დიდი ინტერიერის ნაგებობათა ნაშთები. საბადურის ბორცვზე კი გავაგრძელეთ 1968 წელს დაწყებული სადაზვერვო თხრილის გაჭრა, სადაც ამ უძველესი ქალაქის წარჩინებულთა ნეკროპოლი აღმოჩნდა. გაიწმინდა მხოლოდ ერთი სამარხი, რომელშიც შესანიშნავად ნახელავი სამკაულები აღმოჩნდა. იმ ორასიოდე ნივთიდან, რომლებიც აქ არის მოპოვებული, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ცვარათი შემკული ოქროს მძივები, ოქროს საქამრე ბალთის ნაწილი, პირამიდული ფორმის საკიდები, დისკოსებრი ოქროს ბალთები, წრიული ოქროს საყურეები, ასევე ცვარათი შემკული ცილინდრული ფორმის მძივები, ტანსაცმლის მოსართავი ოქროს ღილები, კასრისებრი ოქროს მძივები და ოქროს ფირფიტები, რომლითაც ხის ნივთი ყოფილა შემოჭედილი. გარდა ამისა, სამარხში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა რკინისა და ბრინჯაოს ნივთები.

აქ მოპოვებული მასალები, მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული და დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. ეს ძვირფასი ძეგლი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნით თარიღდება, მეტყველებს, რომ საირხე წარმოადგენს ანტიკურ-ელინისტური ხანის ნაქალაქარს, რომელსაც მეტალურგი ხელოსნების უბნებთან ერთად ქალაქის არისტოკრატთა საცხოვრებელი უბნებიც ჰქონდა. ჩვენი ექსპედიციის მუშაობაში დიდი ღვაწლი მიუძღვით რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრს გ. გამცემლიძეს, საჩხერის მშენებარე ფაბრიკის დირექტორს ბ. ტოფაძესა და საჩხერის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს. აქვე მინდა მოვიხსენიო ჩვენი ექსპედიციის წევრები ამირან დავითაშვილი, თამარ სიხარულიძე, ირინე ბაქრაძე, თათია ქემერტელიძე, მანანა წერეთელი და დარეჯან გოცირიძე, რომლებიც ურთულეს პირობებში მუშაობენ ორ ცვლად. დიდ დახმარებას გვიწევს საჩხერის რაიონში მომუშავე არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც დავით თუშაბრამიშვილი ხელმძღვანელობს. მომავალი კვლევა-ძიების ერთგვარ სტიმულად გვესახება ისიც, რომ გათხრებზე გვეწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ს. ხაბეიშვილი.

ჯ. ნადირაძე,
ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ყველა ფინალისტი ცნობილია

დიდი საკალათბურთო „კონცერტის“ მოწმენი გახდნენ ქალაქ მედელინის (კოლუმბია) გულშემატკივრები, რომლებმაც იხილეს მსოფლიო პირველობაზე „ბ“ ჯგუფის გადამწყვეტი, უაღრესად დაძაბული მატჩი სსრ კავშირისა და ბრაზილიის ნაკრებ გუნდებს შორის. აქვე მაყურებელმა ნახა ყველაფერი, რითაც მდიდარია თანამედროვე კალათბურთი — ბურთების გდება ნებისმიერი დისტანციიდან, მრავალფეროვანი ტაქტიკა, იერიშები და კონტრიერიშები. ტაშით დაჯილდოვდნენ როგორც გამარჯვებულები, ისე დამარცხებულები. შეხვედრა მოიგო საბჭოთა ნაკრებმა — 99:92 (51:53). ჩვენ გუნდში ყველაზე შედეგიანნი იყვნენ ლოპატოვი (23 ქულა) და მიშკინი (18).

საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად „ბ“ ქვეჯგუფიდან ფინალურ ტურნირში მონაწილეობისათვის ქალაქ კალიში გაემგზავრება ავსტრალიის გუნდიც, რომელმაც სძლია სპილოს ძვლის ნაპირის ნაკრებს — 80:59.

წინასწარი თამაშების უკანასკნელი დღის მოულოდნელობა იყო „ა“ ჯგუფში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების მარცხი ესპანელებთან — 99:109. წაგების მიუხედავად, ესპანელებთან ერთად ამერიკელებიც იასპარეზებენ ფინალურ ტურნირში.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: პანამა-ჩინეთი — 121:92, ჩეხოსლოვაკია-ურუგვაი — 111:84, იუგოსლავია-კანადა 88:79. „ც“ ჯგუფიდან ფინალში მოხვდნენ იუგოსლავიისა და კანადის გუნდები.

ამრიგად, ფინალურ ტურნირში (იგი წრიული სისტემით გაიმართება) იასპარეზებენ: **სსრ კავშირის, ავსტრალიის, ესპანეთის, აშშ-ის, იუგოსლავიის, კანადის** და, აგრეთვე ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყნის — **კოლუმბიის** ნაკრები გუნდები.

ნიკოლოზ უშმაევის წარმატება

წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ნიკოლოზ უშმაევმა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ლუჩენეცში დამთავრებულ XVI მსოფლიო ჩემპიონატზე საპარაშუტო სპორტში. დაშვების სიზუსტეში **უშმაევი მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო აბსოლუტურ ჩათვლაში — მესამეზე.** აღნიშნულ დისციპლინებში უძლიერესის სახელი წილად ხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს ბერნდ ვიეზნერს.

გუნდურ ჩათვლაშიც გდრ-ის პარაშუტისტებმა გაიმარჯვეს. მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები.

მორიგი ტურის წინ

23 აგვისტოს მოსკოვის „ტორპედოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ მატჩით დაიწყება ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი ტური. ჩვენი რესპუბლიკის გუნდები ტურის შეხვედრებს ჩაატარებენ 24 აგვისტოს: **თბილისის „დინამო“ კრასნოდარში ითამაშებს ადგილობრივ „ყუბანთან“, ხოლო ქუთაისის „ტორპედო“ შინ მიიღებს ალმა-ათის „ქაირათს“.**

გთავაზობთ გუნდების მდგომარეობას 19 აგვისტოსათვის:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ“ მნ.	20	12	5	3	35-21	29
„არარატი“	21	10	7	4	32-27	27
„დინ“ თბ.	20	10	5	5	34-29	25
„მეტალ“	21	9	6	6	25-19	24
„ფახთაქ“	21	8	7	6	26-24	23
„სპარტ“	19	8	6	5	27-19	22
„ზენიტი“	21	7	8	6	25-22	22
„დინ“ კ.	18	7	6	5	25-16	20
„დნეპრი“	21	6	8	7	22-26	20
„ჩერნომ“	20	5	10	5	17-17	20
„დინ“ მ.	21	7	5	9	24-27	19
„ყუბანი“	19	6	7	6	25-23	19
„ქაირათი“	21	5	8	8	25-32	18
„ტორპ“ მ.	20	6	5	9	18-22	17
ცსკა	21	6	4	11	24-32	16
„ნეფთჩი“	20	6	4	10	27-37	16
„შახტ“	20	4	6	10	20-28	14
„ტორპ“ ქ.	20	3	7	10	24-34	13

პირველ ლიგაში

წარმატებით გამოდის საბჭოთა კავშირის პირველობის უკანასკნელ მატჩებში ლანჩხუთის „გურია“. ბოლო ტურის მატჩი მან იასპარეზა შინ ლვოვის „კარპატთან“ და კვლავ გაიმარჯვა — 1:0.

ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „შინიკი“ — „ისკრა“ — 3:0, „დინამო“ — „სპარტაკი“ — 1:0, ასკ (როსტოვი) — „ნისტრუ“ — 1:4, „ქოლგირისი“ — ასკ (ხაბაროვსკი)— 1:1, „დაუგავა“ — „ლოკომოტივი“ — 2:1, „ზვეზდა“ — „ზარია“ — 5:0, „პამირი“ — ასკ (კიევი) — 2:2, „კოლოსი“ — „ტავრია“ — 1:0, „მეტალურგი“ — ასკ (ოდესა) — 2:0.

ჩოგბურთის ამბები

კანადის ქალაქ ტორონტოში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს ყველა წამყვანი სპორტსმენი მონაწილეობდა. გაიმარჯვა 28 წლის ამერიკელმა ვ. გერულაიტისმა. მან ფინალური შეხვედრა მოუგო აღნიშნულ შეჯიბრებაში ადრე ორგზის გამარჯვებულს, ჩეხოსლოვაკელ ი. ლენდლის — 4:6, 6:1, 6:3.

იტალიელ ჩოგბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა რომში გამართული ევროპის გუნდური ჩემპიონატი (18 წლამდე სპორტსმენებისათვის) ვალეროის თასზე. მასპინძლებმა გადამწყვეტ მატჩში სძლიეს ესპანელებს — 3:2. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები წინასწარ შეჯიბრებაში გამოეთიშნენ ტურნირს.

10 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ უნგრეთის ქალაქ ნაირედჰაზაში დაწყებულ ევროპის XIV ჩემპიონატში. მეოთხედფინალში გავიდა ჩვენი ქვეყნის სამი სპორტსმენი: სალნიკოვა, მაკაროვა და ბორისოვი. ბოგომოლოვი დამარცხდა რუმინელ სეგედრეჩიანუსთან.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. ბარსელონაში (ესპანეთი) მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის პირველ მატჩში მოსკოვის „სპარტაკმა“ დაამარცხა ესპანეთის კლუბი „ოსასუნა“ — 2:0.

ჭადრაკი. ჭაბუკთა შორის მსოფლიო პირველობის მეოთხე ტურში მოსკოველ ა. სოკოლოვისა და გ. იეორტის (ავსტრალია) პარტია დამთავრდა ყაიმით. სოკოლოვს ახლა 3,5 ქულა გაუხდა. 4 ქულით ლიდერობს არგენტინელი მ. ტემპონე, რომელმაც მოუგო ინგლისელ ი. შორტს. ტურნირი მიმდინარეობს შვეიცარიული სისტემით (სულ 13 ტური გათამაშდება).

შაში. საერთაშორისო შაშში მსოფლიო პირველობაზე მატჩის მეექვსე პარტია ო. ლევინისა და ე. ალტშულს შორის ყაიმით დამთავრდა. წინაა ალტშული — 3,5:2,5.

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

პორტუგალიის ნაკრები, როგორც ცნობილია, ევროპის პირველობაზე საბჭოთა ფეხბურთელების ერთ-ერთი მეტოქეა. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ პორტუგალიელთა ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა 66 წლის ოტო გლორია. გლორია ბრაზილიელია, მაგრამ მრავალი წელია პორტუგალიაში ცხოვრობს. 1966 წელს ინგლისში მსოფლიო ჩემპიონატზე პორტუგალიელები მისი ხელმძღვანელობით მესამე ადგილზე გამოვიდნენ. გლორიამ ნაკრებთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელად, გადამდგარ ხოსე ემილიო სანტამარიას ნაცვლად, დანიშნულია 60 წლის მიგელ მუნოზი. მუნოზი წლების განმავლობაში თამაშობდა მადრიდის „რეალში“, შემდეგ კი კარგახანს სათავეში ედგა ამ გუნდს. ფედერაციამ მუნოზს დაავალა გუნდი მოამზადოს ჯერ ევროპის, შემდეგ კი მსოფლიო პირველობისათვის.

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი მილან მილიანიჩი, რომელიც გუნდს 1980 წლიდან ხელმძღვანელობდა, გადადგა. იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ მიიჩნია, რომ ნაკრები ესპანეთში ძალზე სუსტად გამოვიდა.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა მოვახსენოთ იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი ოჯახის ღრმა მწუხარება მწერლის და კრიტიკოსის გურამ ასათიანის გარდაცვალების გამო.

გურამ ასათიანის ოჯახი.

მეცნიერის საჩუქარი

წიგნები — რაიონულ ბიბლიოთეკას

ონი. (საქ. კორ.). რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ამ დღეებში 500-მდე დასახელების წიგნი უძღვნა პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის მეთოდიკის კათედრის დოცენტმა მიხეილ რეხვიაშვილმა.

წიგნების ამ მდიდარ კოლექციაში შედის საბჭოთა და საზღვარგარეთელი მწერლების სხვადასხვა დროს გამოცემული მხატვრული და სამეცნიერო ნაწარმოებები.

მეცნიერმა კეთილშობილური საქციელით რაიონის მშრომელთა დიდი მადლობა დაიმსახურა.

ვ. ცირეკიძე.

თორმეტი წლის სტუდენტი

ფიზიკაში გამოცდის ჩაბარების შემდეგ 12 წლის ბაქოელი მედალოსანი მოსწავლე კოსტა სლავინი აზერბაიჯანის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

ნორჩი სტუდენტი სკოლაში ხუთი წლისა შეიყვანეს და ორ წელიწადში დაამთავრა პირველი ოთხი კლასი. დედას თავისი ვაჟიშვილი ჩვეულებრივი ბავშვი ჰგონია. — ჩვენ უბრალოდ ვცდილობდით ხელი შეგვეწყო მისი ბუნებრივი ნიჭის განვითარებისათვის და სისტემატურად ვამეცადინებდითო, — ამბობს მშობელი. მედიკოსები და პედაგოგები, რომლებიც მოსწავლეს მეთვალყურეობდნენ, აგრეთვე აღნიშნავენ, რომ მისი წარმატებები, ერთი მხრივ, შესანიშნავი მეხსიერების, მეორე მხრივ, ცოდნისმოყვარეობისა და მუყაითობის იშვიათი შერწყმის შედეგია.

„იზვესტია“.

● ●

ჯერეული მსხვერპლნი ძველი ინერციისა

აგვისტოს სიცხარემ თითქოს რამდენადმე იკლო. ბევრი რამ უკვე გაირკვა — ვინ სტუდენტი გახდა, ვინ საკმაო ქულა დააგროვა და სიებს გულისფანცქალით ელოდება, ვისი მდგომარეობაა საეჭვო... ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთის მშობლები ძველი ინერციით „მიდგომ-მოდგომას“ ცდილობენ, სწორედ ასეთ დროს ებმებიან ისინი გამომძალველებისა და თაღლითების ხელში. თვითონაც მოტყუებულნი და შეურაცხყოფილნი რჩებიან, შვილებსაც გულს უტეხენ.

თბილისის კალინინის სახელობის რაიონის პროკურატურაში ამას წინათ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ნინო (ნანული) ვასილის ასულ ქვლივიძის მიმართ. საქმის აღძვრას საფუძვლად დაედო თბილისის კალინინის რაიონის პროკურატურაში არსებული და თბილისის საქარხნო რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილებიდან შემოსული ცნობები.

წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ნ. ქვლივიძე წლების განმავლობაში აქეზებდა მოქალაქეებს თანამდებობის პირებისათვის ქრთამის მიცემაში, ასევე წლების განმავლობაში მოქალაქეებს თაღლითურად გამოსძალავდა ფულს და ითვისებდა.

ვრცელია ნ. ქვლივიძის მსხვერპლთა სია. მის „საშემოსავლო რვეულში“, რომელშიც ყველაფერს დიდი გულმოდგინებით აღნუსხავდა (ბინის ჩხრეკის დროს იპოვეს), 73 „მთხოვნელის“ გვარი და სახელია. მის დავთარში ჩაწერილი თანხის დაანგარიშებას დიდი დრო დასჭირდა. ისე კი, რაც ძიებით უკვე დამტკიცებულია, ნ. ქვლივიძეს 91.500 მანეთი აქვს მითვისებული.

ახლა ზოგიერთ ფაქტსაც გაგაცნობთ. ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება იმ მშობლების თავგადასავალი გიამბოთ, რომლებიც ნ. ქვლივიძის მახეში გაებნენ. ცოტა შორიდან დავიწყოთ, ვინძლოთ, არ დავუკარგოთ ნ. ქვლივიძეს „მოღვაწეობის“ სტაჟი.

ჯერ კიდევ 1978 წლის ოქტომბერში ნ. ქვლივიძემ 4500 მანეთი გამოართვა მოქალაქე ნ. ხორხელს ვითომდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიმღები კომისიის ერთ-ერთი წევრისათვის გადასაცემად, რომელიც მის ვაჟს თ. ხორხელს ინსტიტუტში მოაწყობდა. აბიტურიენტი გამოცდაზე ჩაიჭრა, ფული კი ნ. ქვლივიძემ შეირგო. მან ასევე ოსტატურად გააბრიყვა კასპელი შ. ბაინდურაშვილიც. პირობისამებრ იმავე უმაღლეს სასწავლებელში უნდა ჩაერიცხა „კლიენტის“ ქალიშვილი. ინსტიტუტის კარი შორს დარჩა, 10 ათასი მანეთი კი ნ. ქვლივიძემ შეირჩინა. როცა „მოვალეები“ მიაკითხავდნენ, ფულს აღარ უბრუნებდა, გამოსავალს იმაში პოულობდა, რომ ხალხს მეორედ აბრიყვებდა, ეუბნებოდა, წადით, სხვა კლიენტები მიშოვეთ და ისინი რომ მომცემენ, თქვენ გაგისტუმრებთო. მართლაც, ბევრი მოიქცა ასე.

ახლა გამოძიებას აქვს ფაქტები იმისა, რომ ამ გზით ნ. ქვლივიძემ ოცამდე ოჯახი წაჰკიდა ერთმანეთს.

ნ. ქვლივიძე „მთხოვნელებს“ ხელწერილს აძლევდა, ვითომდა მავანისგან და მავანისგან ფულს ვსესხულობო, ბოლოს კი ისე გაკადნიერდა, ერთ ხელწერილში ისიც კი ჩაწერა... ფულს ვიღებ იმისათვის რომ ამ მოქალაქის შვილი ინსტიტუტში ჩავრიცხოო.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხსენება ეტყობა კარგად დასცადა. ახლა სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში მცხოვრებ გ. ვარდიაშვილისკენ მოიქნია ანკესი. აქ კი 4 ათასი ამოჰყვა, გალელ თ. ყოლბაიასკენ ნასროლი უფრო ბარაქიანი — 10 ათასმანეთიანი გამოდგა.

ნ. ქვლივიძის მიერ 1977-1981 წლებში მიტაცებულ ფულს დღესაც მისტირიან ქ. ჩადულიადისი (20 ათასი მან.), ზ. ჩხიკვიშვილი (12 ათასი), ა. ზურაბიშვილი (1000 მანეთი). დადგენილია ისიც რომ ნ. ქვლივიძეს ჰყავს (უკაცრავად, ჰყავდა) ნაცნობი რეპეტიტორები დოცენტების რანგში, რომლებიც მის მსხვერპლთ ამზადებდნენ. მათი გვარები ცნობილია, თუმცა აცხადებენ, უფასოდ ვირჯებოდითო. ალბათ გვარების გამჟღავნებაც მაშინ აჯობებს, როცა მათ აგრე რიგად გადამეტებულ ქველმოქმედებას ახსნა მიეცემა.

აღმოჩნდა აგრეთვე რომ ორი ახალგაზრდა, რომელთა მშობლებმაც ნ. ქვლივიძეს კარგა რიგიანი გასამრჯელო მისცეს, მართლაც ჩარიცხულია და სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში. მათი პირადი საქმეებით შესაბამისი ორგანოები დაინტერესდნენ და მალე დაინიშნება ექსპერტიზა, რომელიც დაადგენს, რამდენად სწორად შეფასდა მათი ცოდნა მისაღებ გამოცდებზე.

ნინო ვასილის ასული ქვლივიძე ქვეყანას 1948 წელს მოევლინა ქალაქ საგარეჯოში, დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი. 1973 წლიდან მუშაობდა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს უცხოური ოპერაციების ორგანიზაციისა და წარმოების განყოფილების უფროს ინსპექტორად.

სარფიან საქმეს რომ მიაგნო, ნ. ქვლივიძემ 1980 წლიდან სამსახურს თავი დაანება. ფიქტობრივად ბინის გაყიდვის მიზნით, ხელი მოაწერა სოლიდური თანამდებობის პირთან ე. კუბლიაშვილთან, სინამდვილეში კი თბილისში ვ. დოგუზაშვილთან, ხორავას ქუჩის № 7-ში ცხოვრობდა. აქ იყო მისი „რეზიდენცია“, გულუბრყვილო, მიმნდობი მშობლები აქ ტოვებდნენ ფულსა და იმედებს.

გაჩხრეკისას ნ. ქვლივიძის ბინაში აღმოჩნდა აბიტურიენტების პირადი საბუთები, საგამოცდო ფურცლები, 3 მოზრდილი ბლოკნოტი, რომლებიც სავსეა ტელეფონის ნომრებით და სხვა დოკუმენტები, პირადი წერილები.

ძიება გრძელდება, პროკურატურაში მიდიან და მიდიან ნ. ქვლივიძისაგან მოტყუებული, გაწბილებული ადამიანები. მიაქვთ სამხილები და საჩივრები, რითაც დიდ სამსახურს უწევენ ადმინისტრაციულ ორგანოებს სიმართლის დადგენაში. და რაკი სამართლიანობას ემსახურებიან, გასაგებია, ისინი მხოლოდ მადლობას იმსახურებენ.

ნ. ქვლივიძეზე რაღა უნდა ვთქვათ, მას ხომ არავითარი ადამიანური ღირსება არ გააჩნია,

კანონი ბოროტმოქმედებს თავისას მიუზღავს, რამდენიმე თაღლითი დროებით მაინც გამოაკლდება საზოგადოებას. მაგრამ მშობლებისა კი მაინც გასაკვირია— ქრთამებს თავს რად არ დაანებებენ, რითი ვეღარ დარწმუნდნენ, რომ ძველ ინერციას ძალა ელევა.

მშობლებმა დათვური სამსახური კი არ უნდა გაუწიონ შვილებს, ყველაფერი უნდა იღონონ სამისოდ, რომ მათ შვილებს ღრმა ცოდნა მისცენ, შესძინონ სიწმინდისა და პატიოსნების რწმენა, ურომლისოდაც შეუძლებელია ჭეშმარიტ, ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბება.

გ. დურგლიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96.
ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-98, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

ტელევიზია

19 აგვისტო

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ულიანოვი კითხულობს ა. ს. პუშკინის რომანის „ევგენი ონეგინის“ პირველ თავს. 10.40 — ჟ. მ. დამაზი — კონცერტინო. 10.55 — „სინაზე მძვინვარე მხეცისადმი“. მხატვრული ტელეფილმი. პირველი სერია. 12.00 და 15.30 — ახალი ამბები. 15.40 — ნოვოროსიისკის დაცვის დაწყების მე-40 წლისთავისათვის. დოკუმენტური ფილმები. 16.30 — ფილმი — ბავშვებს. „როგორ გავხდეთ მამაკაცი“. 17.35 — საჭადრაკო სკოლა. 18.05 — დოკუმენტური ტელეფილმი „სიცოცხლის მომნიჭებელნი“. 18.55 — მულტფილმები. 19.25 — კადრების შენარჩუნებისათვის მუშაობა კურსკის ოლქის ხომუტოვის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ჩვენ ბამს ვაშენებთ. 20.33 — ერევნის რკინიგზელთა კულტურის სასახლის ხალხური ცეკვის ანსამბლის გამოსვლა. 20.50 — მხატვრული ტელეფილმი „სინაზე მძვინვარე მხეცისადმი“. მეორე სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ტროეპუროვების პალატებში“. 23.35 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — „დილის ვარჯიში“. 9.20 — მხატვრული ფილმი „პროცესი“. 10.50 — დოკუმენტური ფილმი „დილა მშვიდობისა, ხალხო“. 11.10 — ლ. მინკუსი — დივერტისმენტი ბალეტიდან „პახიტა“. 12.00 — ესპანური ენა. 12.30 — „ესთეტიკური აღზრდა“. ტანსაცმლის კულტურის შესახებ. 13.00 — რეპორტაჟი ცელინოგრადიდან უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებების შეკრების შესახებ. 13.45 — „პრინც ფლორიზელის თავგადასავალი“. მხატვრული ტელეფილმი სუბტიტრებით. მეორე სერია. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — თანამეგობრობა. ტელეჟურნალი. 21.45 — თურქმენეთის სსრ ქ. კერკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „აკ-ალტინის“ გამოსვლა. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „გამარჯობათ, მე ჩამოვედი“.

19 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხარასავეის ტრასები“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“ — მხატვრული ფილმი „ყმაწვილების სამყაროში“. 17.00 — მესამე შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფესტივალი კონფოლანში“. 17.30 — კინოჟურნალი. 17.40 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის“ „ მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნება“ — ლატვია. 18.20 — სპორტული გადაცემა „ცურვის მასობრიობისათვის“. 19.00 — „გამოცანები ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში“. 19.30 — ბავშვებისათვის — „უფროსების მხარდამხარ“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — მესამე შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „მადამ სანჟენი“. პირველი და მეორე მოქმედება. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — სპექტაკლ „მადამ სანჟენის“ მესამე მოქმედება. 23.35 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.10 — მულტიპლიკაციური ფილმები. 17.50 — განცხადებები. 17.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „მიძღვნა“, „შემოქმედნი“. 19.35 — მხატვრული ფილმი „გაუმრელი საზამთრო“.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08420 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20